სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი ტატუნაშვილი

გორის მაზრა 1921-1927 წლებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს

ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი: იოსებ ალიმბარაშვილი

ანოტაცია

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია და ძალდატანებითი გასაბჭოება მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ 2 წელიწადსა და 8 თვეს იარსება, მან მაინც მოახერხა სახელმწიფო ინსტიტუტების, თავდაცვითი ძალების, დამოუკიდებელი ფინანსური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება.

გორის მაზრა აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 5 მაზრიდან ყველას აღემატებოდა ტერიტორიითა და მოსახლეობით, ამდენად, ხელისუფლებისათვის გადამწყვეტი და პრონციპული მნიშვნელობა ჰქონდა მაზრაში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას, მოსახლეობის განწყობა-დამოკიდებულებას ახალი რეჟიმისადმი.

მაშინვე დაიწყო ძველი სახელმწიფო სტრუქტურებისა და აპარატის მსხვრევა და მისი საბჭოთა სისტემით ჩანაცვლება, ეს პროცესიუმეტეს შემთხვევაშიძალდატანებით, ძალადობრივსა და აგრესიულხასიათს ატარებდა. საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ლენინურ-სტალინურ გეგმაში თავადაზნაურობის, სასულიერო წოდების, ბურჟუაზიის ადგილი არ იყო, ამიტომ ძალადობრივი გზებით განხორციელდა ან მათი გაღატაკება, დეკლასირება, ან ფიზიკური ლიკვიდაცია, ხოლო ვინც რეჟიმს თავი დააღწია, იძულებით ემიგრაციაში წავიდა.

ნაშრომში თანმიმდევრულადაა შესწავლილი გორის მაზრაში მიმდინარე პროცესი 1921-1927 წლებში, ანუ, ე. წ. ,,ნეპის“ პერიოდში. განხილულია საბჭოთა სისტემის მშენებლობის პრინციპული საკითხები: სოციალ-ეკონომიკური ვითარება გორის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის და პირველი ღონისძიებები, 1924 წლის აჯანყების მომზადება, აჯანყება და მისი გამოძახილი, ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკა და მისი შედეგები, მასიური შეტევის დაწყება თავადაზნაურობაზე, სასულიერო წოდებაზე, წვრილბურჟუაზიულ ელემენტებზე, საბჭოთა ხელისუფლების აგრარული და საგანმანათლებლო პოლიტიკა და ა. შ.

ცნობილია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია ხსენებულ პერიოდს იდეოლოგიას არგებდა და გაყალბებულად, ან რეჟიმისათვის სასურველ კონტექსტში გადმოგვცემდა, რის შედეგებს (მენტალურს, სოციალ-პოლიტიკურს, ფსიქოლოგიურს) დღემდე ვიმკით, ამდენად საკითხის ობიექტური შესწავლა აქტუალობას არ კარგავს.

ნაშრომი ეყრდნობა, როგორც საკითხის ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ დოკუმენტურ და ნარატიულ ლიტერატურას და წყაროებს, ასევე მნიშვნელოვანწილად - საარქივო მასალებს, რომლის ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში.

Annotation

Soviet Union occupied Georgia and forcibly Sovietized it on February 25, 1921. Despite the fact that the Democratic republic of Georgia has existed for a total of 2 years and 8 months, it stll managed to implement state institutions, defense forces, independent financial, economic and educational policies. Uyezd of Gori was the largest and the most populated of all the 5 Uayezd in Eastern Georgia, thus, the political, economic and social situation in the uyezd, the attitude of the population towards the new regime were crucial and principled for the government. Immediately began to dismantle the old state structures and apparatus and it was replaced with the Soviet system, in most cases, a process was violent and aggressive. The leninist plan to build a Soviet state had not got place for the nobility, the clergy, the bourgeoisie, so they were forcibly impoverished, declassified, or physically hiquidated, and those who escaped the regime were forcibly emigrated.

The paper consostently studies the ongoing process in Uyezd of Gori in 1921-1927, or i.e. the ''Nep'' period. The main issues of the construction of the Soviet system are discussed: socioeconomic situation in the Uyezd of Gori at the time of the establishment of the soviet government and the first events, preparation of the uprising of 1923, the rebellion and its echo, the repessive policy of the government and its consequences, launching a massive attack on the nobility, the clergy, the petite bourgeois elements, the agrarian and educational policies of the Soviet government, and so un.

It is known that Soviet historiography used the mentioned period as favoured to ideology and represented it falsified or in a context favorable to the regime, the results of which (mental, socio-political, psychological) we still reap, so an objective study of the issue does not lose relevance.

The work relies on the documentary, narrative literature and sources in Georgian historiography on the issue, as well as, to a great extent, archival materials, part of which is in dcientific circulation for the first time.

შინაარსი

ანოტაცია.....2
Annotation.....4
შინაარსი 5
შესავალი.....6
ლიტერატურის მიმოხილვა.....10
თავი I. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გორის მაზრაში და პირველი ღონისძიებანი
1.1. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება გორის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის.....13
1.2. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები.....19
თავი II. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გორის მაზრაში 1921-1924 წლებში
2.1. ანტისაბჭოთა პარტიები გორის მაზრაში. პროტესტის პირველი გამოვლინებანი 30
2.2.1924 წლის აგვისტოს აჯანყება და მისი შედეგები გორის მაზრაში 33
თავი III. საბჭოთა ხელისუფლება და აგრარული საკითხი გორის მაზრაში
3.1. მაზრის აგრარულ სექტორებად დაყოფა.....39
3.2. შეტევა ,,წვრილბურჟუაზიულ" ელემენტებზე და კოლექტივიზაციის საწყისი ეტაპი (სამთავისის კომუნა).....48
თავი IV. საბჭოთა ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკა გორის მაზრაში
4.1. ღონისძიებები მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით.....51
4.2. იდეოლოგიური წნეხის გაძლიერება საგანმანათლებლო სექტორში 53
თავი V. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა გორის მაზრაში
5.1. ეკლესია-მონასტრების დახურვა და შეტევა სასულიერო წოდების წინააღმდეგ 57
5.2. საეკლესიო ქონებისა და სიწმინდეების საკითხი.....67
დასკვნა..... 74
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....78

შესავალი

1921 წლის 25 თებერვალს რუსულმა საბჭოთა ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია ქართველი ხალხის სუვერენული უფლება და ჩვენი ქვეყნის ძალდატანებითი ოკუპაცია მოახდინა.

უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა: სასულიერო წოდება, თავად-აზნაურობა, ინტელიგენცია, წვრილი ბურჟუაზია, შეძლებული გლეხობა. დაიწყო მასობრივი რეპრესიები. გამონაკლისი არც გორის მაზრა იყო, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა ქვეყნისათვის. სამაგისტრო თემა სწორედ გორის მაზრასა და იქ მიმდინარე პროცესებს ასახავს 1921-1927 წლებში. ნაშრომი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა შიდა ქართლის XX საუკუნის 20-იანი წლების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ.

ოკუპაციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ბოლშევიკური ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით დევნიდა სასულიერო პირებს მთელ ქვეყანაში და, მათ შორის, გორის მაზრაშიც. დევნა შეეხო რელიგიურ უმცირესობებსაც, რამაც შეიწირა უამრავი მათგანის სიცოცხლე, დაინგრა ტაძრები, ან გადაკეთდა დამხმარე ნაკეთობებად (თავლებად, საწყობებად, სპორტულ დარბაზებად და ა. შ[1].), გაუქმდა ეპარქიები. ხელისუფლების წაქეზებით მოსახლეობამ დაიწყო რეჟიმისათვის მიუღებელი პირების დასმენა.

ეს პერიოდი საქართველოსთვის იყო ბნელი ხანა, რომელმაც რამდენიმე ათწლეული გასტანა და ქართული ცნობიერება და მენტალიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია. ქვეყანა ასცდა თავის განვითარების ბუნებრივ გზას. ანექსიამდე საქართველოს დემოკრატიული

[1] მაგ. სოფ. კარალეთის ეკლესია სახალხო თეატრად გადააკეთეს (გორის არქივი, ფონდი N3.არქ.66.აღწ.1. გვ.52.1924 წელი, გორის კათოლიკურ ეკლესიაში სხვადასხვა დროს განთავსებული იყო ჭრა-კერვის სკოლა, სპორტ სკოლა, ახალგაზრდული ცენტრი და სხვ. (იხ: იოსებ ალიმბარაშვილი, 85 წლის გზასაყარზე (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიიდან), თბ., 2020,გვ. 31).

რესპუბლიკას არჩეული ჰქონდა გზა ევროპისა და პროგრესისაკენ, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ დიდი დროით მოსწყდა მას, ბოლშევიკური რეჟიმის ბრჭყალებში მოექცა და მნიშვნელოვანი სტაგნაცია და რეგრესი გამოიწვია, ქონება ჩამოართვეს, არა მარტო თავად-აზნაურობასა და სასულიერო ფენას, არამედ, შეძლებულ გლეხებსაც და დაიწყეს მათი განკულაკება. ადგილებზე შეიქმნა თემების აღმასკომები, რომელთა მითითებითაც იდევნებოდნენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები.

როგორც ითქვა, ნაშრომის ქრონოლგიური ჩარჩო მოიცავს 1921-1927 წლებს, ე. წ. ,,ნეპის" პერიოდს და ასახავს ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებას გორის მაზრაში,

საქართველოში, ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებთან შედარებით, საბჭოთა რეჟიმი გვიან დამყარდა და ამიტომ მენშევიკების გავლენა ძლიერი იყო, რაც ბოლშევიკური რეჟიმისათვის მასობრივი რეპრესიების საფუძველი გახდა.

განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ხელისუფლება სასულიერო ფენის მიმართ. ძალადობრივი და სისხლიანი რეჟიმი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა, სასულიერო ფენისაგან წახალისებული ვერ იქნებოდა, ამიტომ სასულიერო მოღვაწეებს თავიდანვე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალები, რომელთა ნაწილიც პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში, თვალნათლივ ასახავს ამ პროცესს. გორში, სადაც ოდითგანვე ეკლესია-მონასტრების სიმრავლით გამოირჩეოდა, საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველივე წლებში ერთი მოქმედი ეკლესია აღარ დარჩა. დანგრევას გადაურჩა მხოლოდ სამი ეკლესია: ოქონის, ღვთისმშობლის საკათედრო და ახლად აგებული სომხურ-გრიგორიანული წმ.სტეფანეს ეკლესია. დანგრეული ეკლესიების ქონება, ბოლშევიკურმა რეჟიმმა, აღმასკომთან შეთანხმებით, უღარიბეს მოქალაქეებს გადასცა სახლების

ასაშენებლად[2], მაგრამ ეგზალტირებული მოსახლეობა მიცემულით არ დაკმაყოფილდა და ეკლესიის კუთვნილი ქონების ხელში ჩაგდებამოინდომა.

ძალადობას თან სდევდა ცინიზმი და შეურაცხყოფა. განსაკუთრებით, სასულიერო პირების, თავად-აზნაურობის, ასევე ინტელგენციის წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ.

რეჟიმისათვის მიუღებელ, მაგრამ ეროვნულ და მოსახლეობაში ავროტიტეტულ სასულიერო მოღვაწეებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს. მხოლოდ ძმები კარბელაშვილების მოღვაწეობა და მათი ხვედრი თვალნათლივ ასახავს საბჭოთა რეჟიმის დამოკიდებულებას სასულიერო ფენისადმი.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა და სამხედრო კომისიამ, საფრანგეთში გახიზნულ ემიგრანტულ მთავრობასთან შეთანხმებით, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყება დაგეგმა და თარიღად 1924 წლის 29 აგვისტო გამოაცხადა. აჯანყებას მეთაურად დანიშნეს გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, მაგრამ ხელისუფლება მეტწილად ახერხებდა პროვოკატორებისა და დივერსანტების შეგზავნას აჯანყებულთა რიგებში,რის შედეგად, ყველა საბრძოლო მოქმედება მათთვის წინასწარ იყო ცნობილი.ამას თან დაერთი ის ფაქტიც, რომ ნაკლები კოორდინაციის გამო, აჯანყება დათქმულ დროზე ერთი დღით ადრე დაიწყო ჭიათურაში, ამიტომ საბოლოოდ ჩავარდა ეს გეგმა.

ამის შემდეგ იწყება, არა მარტო აჯანყების მონაწილეების, არამედ, მათი თანამგრძნობი მშვიდობიანი მოსახლეობის მასიური დახვრეტები. მხოლოდ გორის მაზრაში სოფელ რუისში ამოწყვიტეს ფანიაშვილების მთელი ოჯახი 24 ადამიანი[3]. სიკვდილმისჯილებს გორში წინასწარ ათხრევინებდნენ კვერნაქის ქედზე საერთო

[2]იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. ,,ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან", თბ., 2012, გვ. 17

[3] საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად, ტ. 4, თბ., 2012, გვ. 292.

საფლავებს. დახვრეტილთა შორის არაერთი ცნობილი და გავლენიანი პირი იყო, რასაც მომდევნო თავებშიც ვნახავთ.

ყოველივე ზემოთქმული, მიმდინარეობდახელისუფლების მიერ დემაგოგიური და ძალადობრივი პროპაგანდის ფონზე. 1924 წლის 17 სექტემბერს გორის მაზრის სოფლის მაზრებში: ტინისხიდში, თევდორწმინდაში და ორთაშენში მცხოვრებ მოსახლეობას გაუმართავს მიტინგი, სადაც სასულიერო პირებსა და თავად-აზნაურობას მოიხსენიებდნენ ავანტურისტებად, რომლებიც იმყოფებოდნენ დანაშაულებრივ კავშირში რუსეთის უკანასკნელ იმპერატორ ნიკოლოზ მეორესთან და მოითხოვდნენ ამ ,,გალაღებული ინტელიგენციის“ სამაგალითოდ დასჯას[4].

საბჭოთა ტერორმა იმსხვერპლა ქართული სამხედრო სფეროს და გენერალიტეტის არაერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი: კოტე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე. სახელგანთქმული გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: ,,მე არც ბოლშევიკების გენერალი ვარ და არც მენშევიკების, მე საქართველოს გენერალი ვარო“. იგი, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, სახელმწიფო სამსახურს ჩამოსცილდა და მშობლიურ სოფელ სასირეთში საკუთარი მეურნეობის ხარჯზე ცხოვრობდა, ამის მიუხედავად, მოგვიანებით, 1937 წელს მაინც დახვრიტეს. ქართველი ხალხის ეროვნული გმირები: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი კვინიტაძე და სხვები იძულებით ემიგრაციაში წავიდნენ და მათი ნეშტები მხოლოდ მრავალი ათეული წლების შემდეგ დაუბრუნა მადლიერმა ქართველმა ხალხმა მშობლიურ მიწას.

[4] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი (შემდეგ: გორის არქივი), ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 84, 1923 წ.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ითქვა, ნაშრომის ქრონოლგიური ჩარჩო მოიცავს 1921-1927 წლებს, ე. წ. ,,ნეპის" პერიოდს და ასახავს ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებას გორის მაზრაში.

ეს პერიოდი საქართველოსთვის იყო ბნელი ხანა, რომელმაც რამდენიმე ათწლეული გასტანა და ქართული ცნობიერება და მენტალიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია. ქვეყანა ასცდა თავის განვითარების ბუნებრივ გზას. ანექსიამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას არჩეული ჰქონდა გზა ევროპისა და პროგრესისაკენ, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ დიდი დროით მოსწყდა მას, ბოლშევიკური რეჟიმის ბრჭყალებში მოექცა და მნიშვნელოვანი სტაგნაცია და რეგრესი გამოიწვია,

როგორც თქვა, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა იდეოლოგიურ მიზანს ემსახურებოდა და ობიექტურობას არ ასახავდა. ერთგვარი გამონაკლისი იყო ემიგრანტული ლიტერატურა, სადაც ჩვენი თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი მემუარული შრომები გამოსცეს სოლომონ ზალდასტანიშვილმა, გიორგი კვინიტაძემ, ვლასა მგელაძემ და სხვ. მათ ნაშრომებში ნატურალური სიცხადით არის ასახული საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები და ბოლშევიკური სისასტიკე.

ნაშრომის ზოგადი მიმოხილვისას მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ალექსანდრე ბენდიანიშვილი მონოგრაფიამ ,,რუსული კოლონიალიზმი საქართველოში", ასევე ოთარ ჯანელიძის შრომამ ,,საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია (თბ., 2009)".

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები გორის მაზრაში ამავე სათაურით გამოქვეყნებული აქვს ბატონ იოსებ ალიმბარაშვილს, სადაც მნიშვნელოვანი დასკვნებია საბჭოთა ხელისუფლების რეალური მიზნების და რეჟიმის ძალადობრივი ხასიათის შესახებ. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ბატონ იოსებ ალიმბარაშვილის ნაშრომებმა: ,,გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია (ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი), გორი 2018 და ,,ოქონის ხატ[ებ]ისა და

ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან", თბ., 2012, მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა ჩვენი ნაშრომის ორ თავში: ,,საბჭოთა ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკა" და ,,საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა".

გორის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტებია თავმოყრილი ბატონ გიორგი სოსიაშვილის მონოგრაფიაში ,,დოკუმენტებია თავმოყრილი ბატონ გიორგი სოსიაშვილის მონოგრაფიაში ,,საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანიწლები), თბ., 2013. ნაშრომს წამძღვარებული აქვს საკმაოდ ვრცელი შესავალი მიმოხილვა, რომელიც ბოლომდე ააშკარავებს ხელისუფლების ტოტალიტარულ, ძალადობრივ და უხეშ ხასიათს. გარდა ამისა, შესწავლილია ყოფილ გორის მაზრის თითქმის ყველა სოფელში ეკლესიების დახურვის, საეკლესიო ქონებისა და სიწმინდეების საკითხი და ა. შ.

1924 წლის აჯანყებას უკანასკნელ წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი და სადოქტორო დისერტაცია მიეძღვნა, ჩვენ ნაშრომში ამ კუთხით სათანადო ასახვა ჰპოვა ნ. ნათმელიძის ა. დაუშვილის, მ. ჯაფარიძის ავტორობით 2008 წელს გამოცემულმა ერთობრლივნა ნაშრომმა ,,ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი მე-20 ს. 20-იან წლებში", თბ., 2008.

რაც შეეხება საგლეხო რეფორმის თემას აქტიურად ვიყენებდით ბატონ ა. დაუშვილის ბოლო ხანს გამოცემულ მონოგრაფიებს: ,,კულაკობა საქართველოში" (თბ., 2018) და ,,კოლექტივიზაცია საქართველოში" (თბ., 2020).

რა თქმა უნდა ნაშრომში თავისებური ასახვა ჰპოვა იმდროინდელი პრესის (,,კომუნისტი", ,,ბრძოლა" ,,წითელი ქართლი" და სხვ) მასალებმა.

დაბოლოს, ნაშრომის ძირითადი ქარგა ეყრდნობა საქართველოს ეროვნული არქივის გორის სახელმწიფო არქივში დაცულ მასალებს, რომელთა ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. აქვე გვინდა მადლობით მოვიხსენიეოთ არქივის ფონდების

მთავარი სპეციალისტი ქალბატონი ქეთევან მაჭარაშვილი, რომლის დახმარება რომ არა პანდემიის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა არქისი მასალებზე მუშაობა.

თავი I. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გორის მაზრაში და პირველი ღონისძიებანი

1.1. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება გორის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის

XI წითელი არმიის მიერ თბილისის აღების მიუხედავად (1921 წლის 25 თებერვალი), ქართულ საჯარისო ნაწილებს იარაღი არ დაუყრიათ და აგრძელებდენ არიერგარდულ ბრძოლას. ქართული ჯარის მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ განიზრახა გორთან შეეჩერებინა XI არმიის საჯარისო ნაწილები. მართალია, კიდევ ერთი შეტაკება მოხდა სადგურ ოსიაურთან, სადაც 120 ქართველი მებრძოლი შეეწირა მტერს, მაგრამ ძალისა და შეიარაღების აშკარა უთანაბრობის გამო, წითელი არმიის საბოლოო დამარცხება ვერ მოხერხდა და დასავლეთის მიმართულებით უკან დახევა გაგრძელდა.

სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში, ზედმეტი მოლოდინი არსებობდა ევროპიდან დახმარებისა და მისი საშუალებით საბჭოთა არმიის ჩვენის ქვეყნის ფარგლებიდან განდევნის თაობაზე. ნოე რამიშვილი, რომელიც ამ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძეს აიმედებდა გორის რკინიგზის ბაქანთან, რომ დამხმარე ძალა საზღვარგარეთიდან მალე მოვიდოდა[5]. როგორც გიორგი მაზნიაშვილი თავის ,,მოგონებებში“ გადმოგვცემს, ნ. რამიშვილი დასეირნობდა გორის სადგურის ბაქანზე და ,,ყველას გვამშვიდებდა: გამაგრდით, რეალური დახმარება საზღვარგარეთიდან ამ დღეებში მოვა და ჩვენ გვჯეროდა მისი“[6]. როგორც ითქვა, ქართული საჯარისო ნაწილები დემორალიზირებული იყო და წითელმა ოკუპაციამ

[5]გიორგი მაზნიაშვილი ,,მოგონებანი'' 1917-1925, გიორგი სოსიაშვილის რედ.. თბ., 2007, გვ.181
[6] იქვე.

მოიცვა მთლიანად საქართველო, ხოლო ქვეყნის კანონიერი მთავრობა ემიგრაციაში წავიდა.

ახალმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო ძველი, დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების მიერ შექმნილი ორგანოების მსხვრევა და საბჭოთა სტრუქტურების ჩამოყალიბება, ადგილებზე იქმნებოდა რევკომები, ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოადგენდა. საქართველოს რევკომი, რომელმაც შექმნა საბჭოთა საქართველოს პირველი მთავრობა: სახალხო კომისართა საბჭო, ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით.

ახალმა ხელისუფლებამ გააუქმა დემოკრატიული საქართველოს ყველა მონაპოვარი, მათ შორის, დამფუძნებელი კრება, ასევე დაშალეს დემოკრატიული საქართველოს ეროვნული არმია და სახალხო გვარდია. 1921 წლის 22 მარტს გააუქმეს სასამართლოს არსებული სისტემა - სენატი და სხვა სასამართლო ორგანოები.

გასაბჭოებისთანავე დაიწყო ზეწოლა ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიაზე და ეპარქიებში მოღვაწე სასულიერო პირებზე. ეკლესიას ჩამოართვეს კუთვნილი მიწები, ქონება და ყოველგვარი სახსრის გარეშე დატოვეს. ბრძოლამ მიიღო მასშტაბური და სასტიკი სახე. ბოლშევიკებმა შექმნეს ე.წ. ,,მებრძოლ უღმერთოთა კავშირი", დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებელ სარწმუნოებას და სასულიერო პირებს, რეპრესიები იმდენად მძაფრ და ძალადობრივ ხასიათს ატარებდა, რომ სასულიერო პირების უმრავლესობაიძულებული ხდებოდა უარი გამეცხადებინა სასულიერო ცხოვრების გაგრძელებაზე.სოფლის მღვდლებს უარს ეუბნებოდნენ მიწის ნაკვეთის გადაცემაზე და მათ ოჯახებს შიმშილისათვის წირავდნენ, ასევე ავიწროებდნენ და შეურაცხყოფდნენ სკოლებში სასულიერო პირების შვილებს.

იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობას ეკონომიკურად ძალზე უჭირდა, სოფლის მაცხოვრებლებს აიძულებდნენ სოფლებში დაბანაკებული წითელი არმიის ჯარისკაცები საკვებით უზრუნველეყოთ. შეიარაღებული ჯარისკაცები ოჯახებში შედიოდნენ და

პურს თხოულობდნენ, რაც მოსახლეობას პანიკაში აგდებდა[7]. გორის მაზრის სოფ. ქარელის მკვიდრი ანასტასია ჯანდიერი და როდამ ბაგრატიონ-დავითაშვილი თავიანთ საჩივარში მიუთითებდნენ, რომ როცა წითელმა ჯარის ნაწილებმა მათ სოფელში გაიარეს, მათ ყველაფერი გაუნადგურეს, გაიტაცეს ავეჯი, ჭურჭელი, ჩამოიღეს კარები, ფანჯრები და სხვ.[8]

საბჭოთა ჯარისკაცების მაროდიორობას ადასტურებს კიდევ ერთი ფაქტი. ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის ბაზაზე დაფუძნებული გორის პედაგოგიური ტექნიკუმი 1920 წლის 19-20 თებერვლის გორის დამანგრეველი მიწისძვრის გამო იძულებული გახდა დროებით ბორჯომში გახიზნულიყო. ლაბორატორიების აღჭურვილობა, ინვენტარი და სასწავლო ხელსაწყოები ყუთებში დაასაწყობეს და თანწაიღეს. იმავე წლის ზაფხულში სასწავლებელი სურამში გადმოვიდა, მაგრამ 1921 წლის მარტში სურამში შესულმა საბჭოთა არმიის ნაწილებმა დააზიანეს, ან გატეხეს ყუთები, ხოლო მიკროსკოპები და სხვა ტექნიკური საშუალებები თან წაიღეს. წითელარმიელთაგან ასევე მნიშვნელოვნად დაზიანდა სურამში გადატანილი ბიბლიოთეკაც[9].

საბჭოთა რეჟიმმა მმართველობის დამყარების დროიდანვე აქტიურად დაიწყო გორის მაზრაში მთელი რიგი რეფომების განხორციელება.

მასიურად დაიწყო ძველი და მტრული ელემენტის თავად-აზნაურობის ქონების ექსპროპრიაცია და მათი მასიური გასახლება-ლიკვიდაცია მკვიდრი სამოსახლოებიდან.

საბჭოთა რეჟიმი მასიურად აქეზებდა გლეხებს ყოფილი მემამულეების და თავადაზნაურების მიმართ და ათასგვარ ბრალდებას უყენებდა მათ. მაგ., ნიკო ყანჩაველი მოითხოვდა მის მკვიდრ მეჯვრისხევში დაბრუნების უფლებას, მაგრამ მას

[7] სოსო ალიმბარაშვილი. ტინისხიდის ისტორია, გორი 2005, გვ. 41.

[8] ალექსანდრე დაუშვილი. კოლმეურნეობა საქართველოში, წიგნი 1, თბ., 2020, გვ. 110

[9]გორის არქივი, Материалы Горийской уездной нелегальный меншевитской организации за 1921-1924 гг.ფ. 226, ანაწ. 1, საარქ. 10, გვ. 7, 1923 წ.

„სოფელმა“ უარი უთხრა შემდეგი მოტივით: „1924 წელს ავანტიურის დროს იგი განდევნილია სოფლიდგან როგორც გამოუსწორებელი აზნაური, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც კი იმეორებდა იმას,რომ ჩვენ თავად აზნაურობას სხვა სისხლი გვაქვს და გლეხებს სხვაო, ამასთანავე იმეორებდა, რომ გლეხების ერთი წილი გვეჭმევა, მაგრამ არ ვიცით რომელი. 1919 წელს მისი ჯაშუშობით მრავალი ოჯახები იქნენ აწიოკებული, იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მეჯვრისხევში დახვრიტეს კომუნისტები 1919 წელს დახვრეტილების მშობლებს იძულებულს ხდიდა მათი შვილების მკვლელებისათვის სადილი გაეკეთებინათ. ოსეთის აწიოკების დროს მის შვილს აუარებელი ნადავლი აქვს შეტანილი. ყველა ზემოთხსენებული ბრალდებებისა გამო მეჯვრისხევის გლეხობა მოითხოვს დაჟინებით, რომ მოქალაქე ყანჩელი არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაბრუნებული სოფელში[10]“.

საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის განცხადება, რომელიც შინაგან საქმეთა კომისარის სახელზეა და ეხება საკუთარი სახლის დაბრუნების საკითხს ხოვლეში: „გორის მაზრის სოფელ ხოვლეში მაქვს სახლი თავის კარმიდამოთი, რომელშიც სოფლის სკოლა მოათავსეს და რევკომო არის ჩამდგარი. ღობე აღებულია და დამწვარი. აქა-იქ შუა არის დაუწვავი ნაწილები, ვინაითგან მინები ამოუღიათ. ერთი სიტყვით სახლი მთლად გაძარცულია და განადგურებულია. რათგან სახლი მე მჭირდება მაგის მეტი არა მქონდა რა, ამიტომ ვითხოვ დაბრუნებას”[11]. თუმცა, ხელისუფლებამ ცნობილი მეცნიერის დამსახურება ქვეყნის წინაშე არ გაითვალისწინა და კანონიერ მოთხოვნაზე უარი უთხრა.

გორის სამაზრო აღმასკომის სხვა დადგენილებებში კიდევ უფრო მძიმე ბრალდებებს ვკითხულობთ: „ერისთავი ეკატერინე, როგორც ძველი მემამულე, თავადი,

[10] გორის არქივი. ფონდი N3 არქ. 377.აღწერა 1.გვ.3. 1926 წელი
[11] გორის არქივი. ფონდი N3 არქ 11. აღწერა 2. გვ. 29. 1922 წელი.

რომელიც იმონებდა მთელ მშრომელ ხალხს და ჩაგრავდა გლეხობას, მისი შვილები გაქცეულნი არიან საზღვარგარეთ.

სრესელი დათიკო, როგორც არა მშრომელი აზნაური და ძველი პოლკოვნიკი რომელმაც თავისი ხელით დახვრიტა თავისი ნაწილის შვიდი ჯარისკაცი, როდესაც წითელ ჯარს ებრძოდნენ. კობახიძე სიკო დიმიტრის ძე, როგორც აზნაური და აგრეთვე როდესაც მოხდა გამოსვლები ცხინვალში როგორც გვარდიელი დაარბია გლეხობა და ებრძოდა იარაღით“[12] და სხვ.

თუმცა, იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც სოფლის მოსახლეობის მიმართვის საფუძველზე ყოფილ თავადაზნაურებს ნებას რთავდნენ მშობლიურ სოფლებში დაბრუნებისა. ერთ-ერთი ასეთი ბედნიერი პირი ყოფილა ზურაბ ჩუბინიშვილი, რომლის დაბრუნება მოუთხოვია სოფელს[13]. მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ტინისხიდშიც. 1924 წლის აჯანყების დროს ტინისხიდელი სიმონ წერეთელი, რომელსაც მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა, ,,ჩეკას“[14] დაუპატიმრებია, გორში გადაუყვანია ბადრაგის თანხლებით. როგორც კი ეს ტინისხიდელ გლეხობას გაუგია, ის გორში გასულა, ,,ჩეკას“ შენობისათვის ალყა შემოურტყამს და მისი სოფელში დაბრუნება მოუთხოვია[15].

საბჭოთა ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი და უპირველეს საკითხთაგანი იყო მიწათმოწყობის საკითხი, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა და სწორედ მიწა იყო მათთვის ოჯახის რჩენის ძირითადი საშუალება.

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა: ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, შალვა ელიავას, გიორგი ელისაბედაშვილის, საშა გეგეჭკორის, ამაიაკ ნაზარეტიანისა და ბესარიონ კვირკველიას შემადგენლობით,

[12] გორის არქივი. ფონდი N3, არქ2. აღწ2. გვერდი 3,4 1923 წელი.
[13] იქვე
[14] ჩეკა - რუსული აბრევიატურის მიხედვით - Чрезвычайнная коммисия (საგანგებო კომისია).
[15] სოსო ალიმბარაშვილი. ტინისხიდის ისტორია, გვ.74

გამოსცეს დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის ძალით, მთელი მიწა გამოცხადდა მშრომელი ხალხის საერთო საკუთრებად. იკრძალებოდა ამ მიწის გადაცემა იჯარით ან მისი ყიდვა-გაყიდვა. საინტერესო ფაქტი იყო ისიც,რომ ეკლესია-მონასტრებისა და სხვა მფლობელების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ნებისმიერი შენობა-ნაგებობებით და ინვენტარით უნდა ჩარიცხულიყო მიწის სახელმწიფო ფონდში, რომლითაც ისარგებლებდა ყველა მშრომელი[16].

ღარიბი და უმიწო გლეხობაამ ფაქტს თავიდან კმაყოფილებით შეხვდა, მაგრამ როგორც ჩანს, კარგად ვერ გაერკვა საკითხის არსში, რას ნიშნავდა მთელი მიწის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება, თუმცა,რეფორმის შედეგები მალევე გახდა მათთვის ცხადი და ამას მოჰყვა პროტესტი გლეხობის დიდ ნაწილში.

ეს ფაქტი ხელისუფლებამ ,,რევოლუციის მტრების“ პროვოკაციულ ქმედებად ჩათვალა და მაშინვე ინდივიდუალურთან შედარებით, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის მტკიცებას შეუდგა. 1921 წლის 10 მაისს გაზეთი ,,კომუნისტი“ მეწინავეში წერდა: ,,საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხვნა-თესვის კამპანია წარმატებით ჩატარდება, მიუხედავად ათასნაირი პროვოკაციული ხმებისა, ახალი ხელისუფლების მიერ გლეხებისაგან ნამუშევარის ვითომ განზრახულად ჩამორთმევის შესახებ, რომელსაც დაჟინებით ავრცელებენ რევოლუციის მტრები ...თუ უწინ ღარიბ გლეხს უხდებოდა საიჯარო მამულების დამუშავება, რომლის ნაყოფის საგრძნობ ნაწილს სხვა ითვისებდა, ახლა მის სარგებლობაში იქნება, ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში, მიწის საკმაო რაოდენობა, რომელსაც იგი გამოიყენებს და ამით გაიუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას“.

წერილის ავტორი ხოტბას ასხამდა მეჯვრისხევში ღარიბი გლეხების მიერ დაარსებულ კომუნას, რომელთაც საერთო სარგებლობაში ჰქონიათ ,,სამეურნეო იარაღი და მუშა-საქონელი“ და მოუწოდებდა ადგილობრივ ხელისუფლებას კომუნების

[16] გორის არქივი. ფონდი N3, არქ2. აღწ1. გვერდი 2, 1921 წელი.

დაარსებისათვის სხვაგანაც ხელი შეეწყო, რათა გლეხს ,,თავისი თვალით დაენახა კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა მისი ბედშავი ცხოვრების გასაუმჯობესებლად“ და იძულებული გამხდარიყო ,,თავისი ინდივიდუალური ნაჭუჭიდან გამოსვლისა და საერთო მუშაობაში ჩაბმის“ მიზნით[17].

ხელისუფლების მთავარი პროპაგანდისტული ორგანო მოსახლეობას არწმუნებდა იმის თაობაზე, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა ხვნა-თესვის ამბავში, რომ კოლექტივიზაციას ვითომ მოსახლეობა დადებითად ხვდებოდა.[18]

1927 წლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ ,,ნეპის“ (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) პერიოდი დაასრულა. მის წინაშე გრანდიოზული ამოცანა ისახებოდა: ქვეყანა ნაციონალიზებული მეურნეობის ,,ინდუსტრიალიზაციისა“ და სოფლის მეურნეობის დაკვრითი წესით ,,კოლექტივიზაციისათვის“ ემზადებოდა, რასაც, თავის მხრივ რეპრესიების ახალი ტალღა მოჰყვა.

1.1. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა და სხვები. პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა ანექსიის განმახორციელებელი ქვეყნისა და ანექსირებულს შორის დიპლომატიური ხელშეკულების გაფორმება. 1921 წლის 21 მაისს დაიდო სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება საქართველოსა და რსფსრ-ს შორის, რომლითაც საქართველო რუსეთთან შევიდა სამხედრო და სამეურნეო კავშირში. საქართველომ კიდევ ერთხელ დაკარგა სუვერენიტეტი.

[17]გაზ. ,,კომუნისტი”, 10მაისი, 1921 წ. # 55, გვ.1.

[18]ალიმბარაშვილი იოსებ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები გორის მაზრაში, *საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავისადმი,* 25,02,2021, ონლაინ https://sangu.edu.ge/ka/article/100-tseli-sakartvelos-okupatsiid-1.

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაიწყო საბჭოური სტრუქტურების ჩამოყალიბება. მაზრაში შეიქმნა რევკომი, მანამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მართვის ფორმად საბჭოები იყო. რევკომებს თვლიდნენ, რომ ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო და გაანადგურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ინსტიტუციური მონაპოვარი. საბჭოთა რევკომების მთავარი მახასიათებელი იყო ძალადობა. ისინი არ იყო არჩევითი და ინიშნებოდნენ ცენტრალიზებულად თბილისიდან. ხშირი იყო, რომ რევკომების წევრები შემთხვევითი პირები ხდებოდნენ.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ თვეებში საქართველოში და, მათ შორის, გორის მაზრაშიც მოსახლეობაში რთული მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა. მაზრის მოსახლეობის დამოკიდებულება ახალი ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობრივი და მერყევი იყო. ,,ჩეკას'' აგენტურული ცნობით, ბოლშევიკებს გულგრილად უყურებდა ინტელიგენცია და ბურჟუაზია და სწორედ შემდეგ რეპრესიების ტალღა სასულიერო ფენასთან ერთად,მეტად შეეხო ინტელიგენციას და თავად-აზნაურობას. საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ შეიცვალა საარჩევნო სისტემაც, რომელიც მთლიანად რუსულ ყაიდაზე გადაიყვანეს. ბოლშევიკებმა გააუქმეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო სისტემა და მათ ნაცვლად, უკვე სახალხო სასამართლოები მოქმედებდა.

სასამართლოსთან ერთად, რუსული მეთოდი იქნა გამოყენებული სახალხო მილიციის ჩამოყალიბების დროსაც. მათ შექმნეს ე.წ. ,,შრომა გასწორების" ბანაკები, სადაც ათავსებდნენ საბჭოთა სისტემისთვის მიუღებელ პირებს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ისე საბოტაჟში შემჩნეულებს.''[19]

საბჭოთა ხელისუფლება სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნისას. 1921 წლის 25 თებერვალს ჩამოყალიბდა

[19] ოთარ ჯანელიძე.რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბ.2008.გვ.382.

კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისია, მისი შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო მოსახლეობის მიერ რეჟიმისადმი წინააღმდეგობით. კონტრრევოლოციურ საგანგებო კომისიას გორის მაზრაშიც ჰქონდა თავისი განყოფილება, რომელიც ეფექტურად მუშაობდა. ისინი აგროვებდნენ ცნობებს ქალაქებსა თუ სოფლებში შექმნილი მოსახლეობის პოლიტიკურ, მორალური და მენტალურ მდგომარეობის შესახებ, ასევე ყურადღებით აკვირდებოდნენ საზოგადო მოღვაწეების და სასულიერო პირების მოქმედებებსაც.

ხელისუფლებამ მალევე დააკმაყოფილა მისი ერთგული ელემენტების სურვილი და საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მასიური გადაცემა დაიწყო. გორის მაზრის ტერიტორიის ხარჯზე ეს განსაკუთრებით მტკივნეულად გამოიხატა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შედეგად, რომლის შემადგენლობაში ორმოცამდე ქართული სოფელი და ცხინვალი შევიდა[20].

ამას მოჰყვა ქართველი მოსახლეობის მასიური პროტესტი. საჩივარი ხელისუფლებაში ქართული მიწების ე.წ. სამხრეთო ოსეთის ავტონომიურ ოლქზე გადაცემასთან თითქმის ყოველდღიურად შედიოდა, მაგრამ ამაოდ, ხელისუფლებამ მათი გულისტკივილი არ გაიზიარა, პირიქით. ცენტრალური ხელისუფლება 1923 წელს გორის სამაზრო აღმასკომს ატყობინებდა, სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელი კომიტეტი გვატყობინებს შინდისის თემის აღმასკომი ერევა ს.ოსეთის საადგილ-მამულო კომისიის საქმეში გუჯაბაურის რაიონში. გაცნობებთ, რომ თანახმად სა. ოსეთის ავტონომიურ ოლქზე ზოგიერთი უბნების გადამცემი კომისიის დადგენილებისა სოფ.გუჯაბაური გადაცემულია სამხრეთ ოსეთზე და წინადადებას გაძლევთ მიიღოდ ზომები, რათა შინდისის თემის აღმასკომის მიერ ს.ოსეთის საქმეების ჩარევას არ ექნეს ადგილი.

[20] გიორგი სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 259-260.

დანართი ს.ოსეთის ავტნომიურ ოლქზე ზოგიერთი უბნების გადამცემი კომისიის სხდომის 1922 წ. I3 აგვ. ოქმი N-I[21].

მომართვას თანდართული აქვს სამხრეთ ოსეთზე მიკუთვნებული ზოგიერთი სოფლის ჩამონათვალი: ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე ზოგიერთ უბნების გადამცემ კომისიის სხდომისა 1922 წ. 13 აგვისტო.

1.თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 20 აპრილის თარიღით და 2 N-ით გამოცემულ დეკრეტის მე-8 9-სა დეტალური დათვალიერების და საზღვრების ხაზის ცხინვალიდან ჩარჩანის წნელისამდე ადგილობრივად შემოწმებით დავადგინეთ გადაეცეს სამხრეთ ოსეთს შემდეგი სოფლები: კალეთი, წნელისი, ოქონა, თედეც-კაუ,, იონჯა, ქვათეთრი, გვირგვინა, გაბარათ-კაუ, დიდმუხა, გუდჯაბაური, ცხინვალი, გორის მაზრის ავლევი, წერონისი, თამარშენი, გამეთი, დირბი, ტახტისძირი, დვანი, ქვემო და ზემო ნიქოზი.

2. რადგან ავტონომიურ სამხრეთ ოსეთის და შორაპნის და რაჭის მაზრების საზღვრებში არავითარი გამოურკვევლობას არ აქვს ადგილი, მიეცეს წინადადება სათანადო აღმასკომებს იხელმძღვანელონ, ზემოხსენებულ მე-2 N დეკრეტში აღნიშნულ გამიჯვნის მე-2 9-ით, რაც ფაქტიურად გატარებულია ცხოვრებაში მის მიერ.

3. ოქმის ასლები დაუყონებლივ შესასრულებლად მიეცეს გორის, შორაპნის, რაჭის აღმასკომებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცაკს და ცხინვალის უბნის აღმასკომს[22].

საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლშევიზმის დამყარების პირველ წლებიდანვე დაიწყო რევოლუციამდელი პრესის შევიწროება, მათ შორის გორის მაზრაში დაიწყო გაზეთ „წითელი ქართლის“ გამოცემა. ხსენებული გაზეთი მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგიის უნდა ყოფილიყო, პრესა ექვემდებარებოდა მკაცრ ცენზურას, მიდიოდა

[21] გორის არქივი.ფონდი 3.არქ 42.აღწერა1.გვერდი169.1923 წელი.
[22] გორის არქივი.ფონდი 3.არქ.42.აღწერა1.გვ.170.1923 წელი.

მოსახლეობის დაშინება, საზოგადოება რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო.

1921 წლის აპრილში საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის ძალითაც მიწა გადავიდა მშრომელი ხალხის საერთო საკუთრებაში. მიწის ყიდვა-გაყიდვა ან იჯარით გასხვისება სხვა პირისთვის იკრძალებოდა. ეკლესია მონასტრებისა დასხვა სხვა პიროვნებების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ყოველგვარი ნაგებობებითა და ინვენტარით, სამეურნეო იარაღებით უნდა ჩამორთემოდათ და დარიცხულიყო მიწის სახელმწიფო ფონდში, რომლითაც ყველა მშრომელი ადამიანი ისარგებლებდა[23].

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობაში სახელი გაეტეხა საზღვარგარეთ წასული მთავრობისა და ადგილზე დარჩენილ მათი მხარდამჭერებისათვის. ამ მიზნით სოფლებში ტარდებოდა საერთო კრებები, სადაც საჯარო წესით იხილავდნენ: ,,ნოე ჟორდანიას ყოფილი მთავრობისა და ყოფილი დამფუძნებული კრების ემიგრაციაში გადახვეწილ და ხსენებული ავანტიურის მონაწილე წევრთა“ ჩამორთმეული ქონების საკითხს, რომელიც უნდა მოხმარებოდა იმ ,,ზარალის ანაზღაურებას“, ,,რაც საქართველოს მუშათა და გლეხთა სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა ვერაგულმა ავანტიურამ.[24]“

ამავე მოსაზრებით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (ცაკი) 1921 წლის 26 მარტს დაუდგენია: ,,მთელი ქონება ყოფილი მენშევიკური მთავრობის და ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრებისა, რომელნიც ამ ჟამად ემიგრაციაში არიან და ამას წინად მომხდარ გამოსვლასთან კავშირი ქონიათ, ჩამორთმეულ იქნეს კონფისკაციის წესით. 2. ოჯახის გაჭირვებულ და შრომის უნარმოკლებულ წევრებს, რომელთაც პირველ მუხლში აღნიშნული პირნი არჩენდნენ-დაეტოვებად საჭირო საოჯახო

[23]გაზ. ,,Правда Грузии”, 06.04.1921 წ. გვ. 4.
[24]გორის არქივი. ფონდი N3. არქ.56. აღწ.1. გვ.31.1924 წელი.

ნივთები, წვრილი და შინამრეწველობის იარაღი, უკეთუ ეს უკანასკნელი არსებობის სახსარია და არ წარმოადგენს სხვისი შრომის ექსპლოატაციის საგანს და აგრეთვე საკვები პროდუქტები.[25]''

მალევე დაიწყო ადგილობრივ მემამულეთა ქონების ექსპროპრიაცია.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ატენის ხეობაში ფინელმა მრეწველმა აუგუსტ ზეზმანმა ატენის ხეობაში ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანა და ხე-ტყის წარმოება დაიწყო, მაგრამ იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ვერ მოესწრო.

ბუნებრივია, მუშურ-გლეხური ხელისუფლება ყოფილი კაპიტალისტის ოჯახს სიმპათიით არ უყურებდა. უკვე 1921 წლის 30 მაისს აუგუსტ ზეზემანის ქვრივმა ემილია გუსტავის ასულმა, თხოვნით მიმართა გორის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეს, რომელშიც აცხადებდა, რომ ,,მისი გარდაცვლილი ქმრის, როგორც ფინლანდიის ქვეშევრდომის, სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება არ ექვემდებარებოდა რეკვიზიციას და ითხოვდა შუამდგომლობას, რათა მიეღოთ ჯეროვანი ზომები, რომლითაც დაცული იქნებოდა მითვისებისა და გაფლანგვისაგან ავგუსტ ზეზემანის დარჩენილი ქონება, სახლი, მამულები, სახერხი ქარხანა, ასევე ქონება, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა მანქანების ნაწილებისა და ზეზემანის მიერ ატენში გაყვანილი რკინის გზის რელსებისგან, რომლის ნაწილი იმყოფებოდა სოფელ ატენში, ხოლო ნაწილი ქალაქ გორში.

ზეზემანისამ ხელისუფლებას ასევე წარმოუდგინა თხოვნის ასლი, საქართველოში ფინლანდიის რესპუბლიკის წარმომადგენლისადმი მიცემული, რომელშიც აღნიშნული იყო: ,,გაუწყებთ რა ზემოთ ხსენებულზედ, გთხოვთ მიიღოთ ჯეროვანი ზომები, რათა დარჩენილი ქონება ავგუსტ ზეზემანის სიკვდილის შემდეგ არავისგან იყოს მითვისებული და გაფლანგული და აგრეთვე ეს ქონება არ იყოს დაქვემდებარებული

[25]იქვე.

რეკვიზიციის რიგისა... სახელმწიფოს მთავრობა, რომლის ტერიტორიაზეც გარდაიცვალა უცხო სახელმწიფოს ქვეშმდგომი და დარჩა ქონება, ვალდებულია კანონის ძალით ქონება დაიცვას და შეინახოს ვიდრე კანონიერი მემკვიდრეები გამოცხადდებიან დარჩენილი ქონების მისაღებად“[26].

მოსამართლეს, წერილი გორის მაზრის რევკომისათვის გადაუგზავნია შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც ადევს რევკომის თავმჯდომარის (ხელმოწერა გაურკვეველია – ი. ა.) რეზოლუცია: „შეგატყობინებთ, რომ რეკვიზიცია და კონფისკაცია ზეზმანისთვის არავის მოუხდენია, რაც შეეხება მისი ქონების დაცვას, მასზედ თვით ზეზმანმა იზრუნოსო“ [27].

რა თქმა უნდა, ხელისუფლება ცრუობდა. მისთვის ყოველი კაპიტალისტი კლასობრივი და იდეური მტერი იყო, ეროვნების მიუხედავად.

იმავე 1921 წელს ,,ნარკომის“ (სახალხო კომიტეტი – ი. ა.) მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიას და ,,ამორჩეულ კაცებს“ გორბუშკინის, ძამოევის, ზერეკიძის, ცხაკაიას და სხვათა შემადგენლობით აუზომავთ ზეზემანის და ორბელიანების საკუთრებაში არსებული მამულები და გამოუტანიათ გადაწყვეტილება: ,,სახნავი მიწა ზომით 2 დესეტინა (ურწყავი) ყოფილი ორბელიანების საკუთრება დამუშავებულია ვასო, იაკოფი და მიხა ვალიშვილებისაგან, ხოლო 2 ნაკვეთი წრეულობით არ მოუხნავთ და მოცდენილია. სხვა 2 დესეტინა სივრცით და მდებარეობით უვარგისია საზოგადოდ და სახელმწიფო დამუშავებისათვის. 2 ნაკვეთი დანაწილებულია ნაკვეთებად და კიდეც დასახლებულია, არ შეიძლება მოხმარებული იქნეს სხვა რაიმე მიზნისათვის. მესამე ნაკვეთი ნაკლებათ გამოსადეგია დასახლებისათვის და შეიძლება გამოიმიჯნოს... დანარჩენი მამული ყოფილი მემამულე ორბელიანისა ზომით 41/2 დესეტინა გადაეცეთ მცხოვრებთ დასახლებისათვის პლანზედ და ხელმძღვანელობა გაეწიოს მთავარ

[26]იოსებ ალიმბარაშვილი. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები გორის მაზრაში, გვ. 8.
[27]გორისარქივი, ფონდი # 1; საქმე # 127, აღწ. 1,გვ. 115, 1921წ.

მმართველობას მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის თვალყურის დევნებით ...ნაკვეთები ყოფილი მემამულე ზეზმანისა, რომელიც იყო დაჭრილი ზომით 260 ტ... (არ იკითხება – ი. ა.) დაიჭრას ნაკვეთებად და გადაეცეს მოსახლეობას. ამასთანავე უნდა დაცული იყოს ინტერესები გლეხკაცებისა ახალი გადამიჯვნა და დარიგება ნაჭრებისა უნდა მოხდეს ისე, რომ არ უნდა დაინგრეს და არც გადაიტანონ უკვე აშენებული შენობები. ...ორბელიანის და ზეზმანის მამულები განაწილებული უნდა იქმნას სოფლის ამორჩეული რევკომის და მთავა ინჟინრის წარმომადგენლის მიერ. პირველ შემთხვევაში მიეცეს ნაკვეთები უფრო ღარიბთ და მიწისძვრით დაზარალებულებს და შემდეგ უფრო ნაკლებად დაზარალებულებს“ [28].

უნდა აღინიშნოს, რომ ატენელი გლეხები მიწას სახელმწიფოსაგან საჩუქრად არ იღებდნენ. მიწის მიმღებთ წინასწარ უარი უნდა განეცხადებინათ ,,ძველი სახლ-კარის ადგილზედ“ ადგილკომის სასარგებლოდ. თუ სასახლ-კარე მიწის მიმღები ერთი წლის განმავლობაში შენობას არ ააშენებდა კუთვნილ ნაკვეთზე უფლებას კარგავდა[29] .

როგორც ჩანს, ატენელ გლეხებს ორბელიანებისა და ზეზემანის მამულებზე ,,მადა გაეხსნათ“ და ერისთავის მიწების გადაცემაც მოითხოვეს. 1921 წლის ივნისში ატენის ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარე (გვარი განცხადების ხელმოწერაში არ იკითხება. გარკვეულად ჩანს მხოლოდ სახელის პირველი და გვარის ოთხი ასო – გ. ბითრ... - შესაძლოა, ბითაროვი - გ. ტ.) გორის სამაზრო რევკომის საადგილმამულო განყოფილებას მიმართავს საჩივრით: ..გაცნობებთ, რომ ატენის მცხოვრებლებისათვის იყო გადაწყვეტილი სახალხო კრებაზედ ზეზმანის და ორბელიანის ზვრები. ამ ჟამად დარიგდა აღნიშნული ზვრები და ბევრი დარჩა უკმაყოფილო ორმოცდაათ კომლამდე. ამისათვის გთხოვთ მომცეთ ნება ერისთავის ზვრის დაყოფაზე, ვინაიდან ხალხი

[28]გორის არქივი, ფონდი # 1; საქმე # 93, აღწ. 1, გვ. 88-89, 1921წ.
[29]გორისარქივი, ფონდი # 1; საქმე # 93, აღწ. 1,გვ. 89, 1921წ.

დარჩენილია უკმაყოფილოდ დიდ გაჭირვებას განვიცდით და დააკმაყოფილოთ გაჭირვებული ხალხი (სტილი დაცულია – გ. ტ.)“[30] .

1922 წელს გორის თემაღმასკომი იხილავს ჯანმრთელობის განყოფილების მომართვას, რომ ატენის მედ-პუნქტისათვის დაეთმოთ ორბელიანების სახლი თავისი მოწყობილობებით და ავეჯით“[31].

1922 წელს ორბელიანების და ზეზემანის ოჯახებს ატენში ჩამოართვეს საცხოვრებელი სახლი (17 ოთახით) და ბაღიც. ორბელიანისეულ სასახლეში გახსნეს შრომის სკოლა[32]. შენობის რემონტის ხარჯები უნდა გაეღო ახლომდებარე უბნების მოსახლეობას თვითდაბეგვრის წესით[33], ხოლო ზეზემანის ქვრივს წინადადება მისცეს ერთი თვის განმავლობაში დაეტოვებინა ატენის რაიონი, ვინაიდან ,,მთელი მშრომელი გლეხკაცობა ამხედრებული იყო მის წინააღმდეგ, როგორც ყოფილი ექსპლუატატორი მშრომელი ხალხისა“[34]. იმავე წლის 29 დეკემბერს გორის სამაზრო კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, ატენში ზეზმანის ყოფილი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის აყრისა და მისი ცხინვალის მშენებარე რკინიგზაზე გამოყენების შესახებ. ატენის მოსახლეობა თანახმა ყოფილა აეშალა რკინიგზა და სამხერხაო ქარხანასთან ჩამოეტანა ხეობაში დარჩენილ ერთ ორთქმავალთან ერთად, იმ პირობით, რომ რკინიგზისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიას საურმე გზის მოსაწყობად დაუთმობდნენ[35] .

1923 წელს, ხელისუფლებამ ზეზემანისეულ სახლში დაწყებითი სკოლა და ატენის სახალხო თეატრი გახსნა.

---

[30]გორისარქივი, ფონდი # 1; საქმე # 127, აღწ. 1,გვ. 81, 1921წ.

[31]გორისარქივი, ფონდი # 3; არქ. 1, აღწ. 1,გვ. 113, 1922წ.

[32]აღსანიშნავია, რომ ორბელიანისეულ სასახლეში (ამჟამინდელი დედათა მონასტერი ატენში) სკოლა ჯერ კიდევ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს (ალექსანდრე ორბელიანის მეუღლეს) ჰქონდა გახსნილი, რომლის ხარჯის ნახევარი თავად დაუფარავს, ხოლო ნახევარი - ,,ქართველთა შორისწერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას” და წლების განმავლობაში მზრუნველობას უწევდა მას.

[33]გორისარქივი, ფონდი # 1; საქმე # 162, აღწ. 1,გვ. 23, 1925წ.

[34]იქვე, ფონდი # 1; საქმე # 12, აღწ. 1,გვ. 92, 1922 წ.

[35]იქვე, ფონდი # 1; საქმე # 12, აღწ. 1,გვ. 83, 1922 წ.

უარი ეთქვა კუთვნილი ბაღის დაბრუნებაზე ანა ამილახვარს, რომლის ოჯახს ძალზე დიდი წვლილი ჰქონდა მშობლიური გორის გარეგნული მხარის მოწესრიგების, მშენებლობისა და კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით[36]. შინაგან საქმეთა სახალხო კომისიარიატის პასუხში განმარტებული იყო, რომ ,,მიწის რეფორმის რევოლუციონურ წესით ჩაბარების დებულების თანახმად აღნიშნული ბაღი უნდა იქმნეს ჩამორთმეული მისი პატრონისგან, როგორც მცხოვრებელი ქალი ტფილისში, შეძლებული და არა მიწის მუშა მშრომელი.[37]''

1923 წლის 7 თებერვალს მეჯვრისხევის თემაღმასკომი ატარებს საბჭოთა დეპუტატების ყრილობას, რომელიც ადგენს იმ მემამულეთა სიას, რომელთათვისაც უნდა ჩამოერთმიათ უძრავი და მოძრავი ქონება სოფლების საცხოვრებლის მიხედვით, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: ,,1.ეკატერინე ერისთავისა-სახლი პატარა მეჯვრისხევში. 2.ესტატე ერისთავს-დიდ მეჯვრისხევში. 3.ბარბარე ერისთავს. 4. შალიკო და მანია ერისთავებს სახლი და წისქვილი. 5. სამხარაძეს სახლი-დიდ მეჯვრისხევში. 6. მირიან ლოლაძეს წისქვილი. 7.გიგუცა მირზაშვილს - თავლა. 8. ლევან კობახიძეს სახლი-ახალუბანი. 9. დიდებულიძეებს - აძვში. 10. ნათიევი გორგიჯანისძე-ხურვალეთი. 11. კოლა რევაზის-ძე ყანჩაველს-ახრისი. 12. იოსებ კობახიძეს-ახალუბანი. 13.მიხაკა მახვილაძეს სახლი-ახალუბანი.[38]''

სამი დღის შემდეგ მსგავსი გადაწყვეტილება მიუღიათ ახალქალაქის თემში თავად გიორგი ივანეს ძე თარხნიშვილის სახლის შესახებ, რადგან, თარხნიშვილი იყო ,,გლეხკაცობისათვის გამოუსადეგარი“ და ,,ძველი ფეოდალების ნაშთი“[39]. აქვე, თამარ ალექსანდრეს ასულ გრუზინსკაიასათვის სახლ-კარის ჩამორთმევას არ დასჯერებიან და წისქვილიც ჩამოურთმევიათ, თუმცა, მისი მეწისქვილე მალაციძე იქვე დაუტოვებიათ

[36]იხ: ელდარ მამისთვალიშვილი. გორის ისტორია, ტ. 2, (1801-1921) თბ., 2019, გვ. 52-54
[37]გორის არქივი. ფონდი N3.არქ.12.აღწ.1. გვ. 113.1923 წელი.
[38]გორის არქივი. ფონდი N3. არქ.25. აღწ.1. გვ.7. 1923 წელი.
[39]გორის არქივი. ფონდი N3. არქ.25. აღწ.1. გვ. 9.1923 წელი.

სამუშაოდ. ექსპროპრიაციის მიზეზი ის ფაქტი გამხდარა, რომ თამარა გრუზინსკი იყო ,,თავადთა წრის წარმომადგენელი“ და, ადგილობრივ გლეხთა ჩვენებით, ,,ხელისუფლების მტერი“[40].

1924 წლის დეკემბერში სოფელ რუისის გლეხკომებს სოფელ რუისის გალავნისა და უკანუბნის გლეხკომებს ,,წინადადება ეძლეოდათ“: ,,რათა გამოარკვიონ სიჩქარით გადასახლებულ თავად-აზნაურების მამულის რაოდენობა და წარმოადგინონ სიასთან ერთად მამულის ჩამორთმევის დადგენილება“[41].

მსგავსი მაგალითების მოყვანა არაერთი შეიძლება.

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე თავიდანვე ორი ამოცანა დადგა: ძველი სახელმწიფოებრივი აპარატის მსხვრევა და საბჭოებისათვის არჩევნების მომზადება. ამასთან, აუცილებელი იყო მოსახლეობა დაერწმუნებინათ ,,ძველი“ ხელისუფლების ორგანოების ,,მავნებლობასა“ და უსუსურობაში. ხელისუფლების ინიციატივით მაზრის სოფლებში დაიწყო საყოველთა მიტინგების ჩატარება. 1924 წლის სექტემბერში, ბოლშევიკებს ჩაუტარებიათ 200 კაციანი მიტინგი ტინისხიდში, სადაც გაისმა მოწოდება რათა სოფელ ტინისხიდის, თედოწმინდის და ოთარშენის მცხოვრებნი ,,დარწმუნებულიყვნენ მენშევიკების ავანტურულ მოქმედებაში ყოფილ თავადებთან, სამღვდელოებასთან და ნიკოლოზ II ის გალაღებულ ინტელიგენციასთან, ისინი ითხოვდნენ დასჯას უმკაცრესად[42].

გორის მაზრის სოფლებში იქმნებოდა ,,გლეხ-კომები~, რომელთაც ევალებოდათ ძველი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი პირების ,,გამოვლენა“ და მათი სიების ხელისუფლებისადმი მიწოდება, მოსახლეობის რეჟიმისადმი უპირობო მორჩილება, პროპაგანდა და სხვა. [43]

---

[40]გორის არქივი. ფონდი N3. არქ.25. აღწ.1. გვ. 12, 1923 წელი.
[41]გორის არქივი. ფონდი N3. არქ.83. აღწ. 1. გვ.1. 1924 წელი.
[42]გორის არქივი, ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 84, 1923 წ.
[43] სოსო ალიმბარაშვილი. ტინისხიდის ისტორია, გვ.43.

1925 წელს სოფელ ტინისხიდში გლეხკომს ჩამოურთმევია უძრავი ქონება რამდენიმე ადგილობრივი მოსახლესთვის, რადგან ისინი წარმოადგენდნენ ,,კულაკურ ელემენტებს'', ანალოგიური ქმედებები ბოლშევიკებმა განახორციელეს ხიდისთავში, ატენსა და სხვა სოფლებში.[44]

ხელისუფლებამ მალევე ,,აღმოაჩინა", რომ რეჟიმისადმი უპირობო მორჩილება გამრჯე და შეძლებულ გლეხობაში მაინცამაინც დიდი წარმატებით ვერ ხორციელდებოდა, ამიტომ დაიწყო ფართო აგიტაცია და მოსახლეობისადმი მტკიცება იმაში, რომ ეს კატეგორია წარმოადგენდა ძველი ხელისუფლების ნარჩენს, რომელიც სხვისი ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრობდა, ან სურდა, რომ ეცხოვრა ამიტომ აუცილებელი იყო ,,კულაკების'' როგორც კლასის განადგურება. დაიწყო მასიური ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობა და არჩევანის წინაშე დააყენეს: ან მიეღოთ კომუნისტური იდეოლოგია და გაეზიარებინათ, ან, უკეთეს შემთხვევაში ქვეყანა დაეტოვებინათ.

თავი II. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გორის მაზრაში 1921-1924 წლებში

2.1. ანტისაბჭოთა პარტიები გორის მაზრაში. უკმაყოფილებისა და პროტესტის პირველი გამოვლინებანი

საბჭთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მენშევიკები და ეროონული მიმართულების სხვა პარტიები კოსპირაციულ ქმედებებზე გადავიდნენ. ისინი გორის მაზრის სხვადასხვა სოფლებში ფარულ კრებებს ატარებენ და საზღვარგარეთიდან

[44]იქვე.

ჟორდანიას მთავრობის იმედი აქვთ. 1923 წლის 17 მაისით დათარიღებულ ოქმში აღნიშნულია:

,,თავმჯდომარე - მებაღე

მდივანი ვარდისპირელი

სასურსათო - 1 წყაროსპირელი

სამხედრო - მეცხვარე

მოლარე - მეწისქვილე“ და სხვ.

1, ტინისხიდი - კოშკის ძირი

2. ურბნისი - ბერის-ხევი;

5. რუისი - განწირული მუშა;

6. ურბნისი - მერცხალი

თავმჯდომარე - პატარა ლიახვი“ (სულ 8 ხელმოწერაა)[45].

როგორც ჩანს, მენშევიკებს თავისი წარმომადგენლები შენიღბული მეტსახელებით მითითებულ სოფლებში ჰყავდათ მიმაგრებული და ღამის 10 საათზე, ფარულად შეკრებილან.

ორი დღის შემდეგ მენშევიკები უკვე ზემო ხვითში იკრიბებიან. სხდომის ჩანაწერში ვკითხულობთ: 1923 წ. 19 მაისს ზემო ხვითში ს.ს.დ.მ. (საქართველოს სოციალ-დემოკრატია მენშევიკებისა - ი. ა.) კრებამ ამოირჩია თავმჯდომარედ კლდე, მდივნად - მფრინავი. მოხსენება გააკეთა ა მხანაგმა ბურმა ახლისა მომენტზე, გააცნო თუ რას აკეთებს საზღვარგარეთული მთავრობა და რა არის კომუნისტური პარტია. აგრეთვე გააცნო ჟორდანიას მოწოდება ევროპის პრესაში, აგრეთვე გააცნო რა მიზეზი იყო, რომ ჩვენი (მენშევიკების - ი. ა.) მიუდგნენ კომუნისტებს. გააცნო კ. გოგოლაძე თუ ვინ იყო წინეთ, ეხლა რათ გადაუდგა ჩვენს პარტიას.[46]

[45]გორის არქივი, ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 58.
[46] გორის არქივი, ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 84.

თუმცა, იმავე 1923 წელს ხელისუფლების ზეწოლით, ანტისაბჭოთა პარტიების თვითლიკვიდაციის პროცესი დაიწყო[47] და ისინი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში მაკოორდინებელ როლს ვეღარ შეასრულებდნენ.

ვერც ცალკეულმა შიდა თუ გარე ღონისძიებებმა (სვანეთისა აჯანყება, გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი მიმართვა) გამოიღეს პრაქტიკული შედეგი, ამიტომ გადაწყდა საერთო ეროვნული აჯანყების მოწყობა.

ქვეყანა ასე მარტივად ვერ შეეგუა გასაბჭოებას და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ პირველ წლებშივე დაიწყო ანტისაბჭოთა გამოსვლები, 1921 წლის და 1922 წლებში ,,თავპირ დასისხლიანებული ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი თავის პაწია თითებით ეროვნულ სამფეროვან დროშას ჯალათ ჩეკისტებს არ ანებებდნენ: მანდილოსნები, ვაჟკაცები მოძალადე ხელისუფლებას და მათ ჯალათებს გააფთრებით ებრძოდნენ...''[48]

ასეთი იყო გასაბჭოების პირველ წლებში მდგომარეობა მთელ საქართველოში და მათ შორის გორის მაზრაშიც.

ბოლშევიკებმა დევნა დაუწყეს მისთვის მიუღებელ ყველა ფენას: სასულიერო პირებს, თავად-აზნაურობას, საზოგადო მოღვაწეებს, ყველა ფენა გადაიმტერეს და ამას მოჰყვა საპასუხო დაპირისპირება. როგორც დეომკრატიული საქართველოს ცნობილი მოღვაწე ვლასა მგელაძე თავის მემუარებში წერდა: ,,რევოლუციაში აღზრდილი თფილისი ბობოქრობდა, დემონსტრაციებს აწყობდა; ქუჩებში სისხლი იღვრებოდა, ყოველი დაწესებულება უზურპატორ, არამკითხე მთავრობას პროტესტს უცხადებდა... პარტიები, ჯგუფები, გვარდია და ჯარები საიდუმლოთ ირაზმებოდა; ეროვნულ პარტიების წარმომადგენლებიდან შემდგარი საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტი ამ რელიგიურ ძალას სათავეში უდგებოდა, ქვეყნის ნამდვილი პატრონი

[47]საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. IV, (საქართველო XIX-XX საუკუნეებში), მ. ნათმელიძის რედ., თბ., 2021, გვ. 288.

[48] ვლასა მგელაძე.საქართველო აჯანყებამდე (1921-1924). პარიზი.1936. გვ.31

ხდებოდა, საზღვარგარეთ ჰახიზნყლ ეროვნულ კონტაქტში შედიოდა...”[49]

განადგურებულ საქართველოში, რომელიც წითელმა ტერორმა მოიცვა, მოსახლეობა ირაზმებოდა შეძლებისდაგვარად სხვადასხვა პარტიების საშუალებით ერთი ცენტრის ქვეშ. არალეგალური მიწისქვეშა დაჯგუფებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ანტისაბჭოთა პროპაგანდაში: ,,ორგანიზაციები ისე კარგად იყო აწყობილი, რომ ევროპიდან წესიერათ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებს ღებულობდნენ, არალეგალურათ მოქმედი საგანგებო ბიურო ამ ცნობებს ამუშავებდა და აწვდიდა ქართულ არალეგალურ გაზეთს ჩვენი ერთობას, რომელიც თფილისი სახელოვან ასოთ-ამწყობების მიერ იწყობოდა და იბეჭდებოდა, მთელ საქართველოს ეფინებოდა...”[50]

წითელი რეჟიმის მხრიდან იყო ძალადობრივი ქმედებები, მაგრამ იგი მაინც ვერ ანელებდა საპროტესტო ტალღას მოსახლეობაში, ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნაბიჯები პირიქით საზოგადოებაში უფრო მეტ პროტესტს იწვევდა და ემზადებოდა 1924 წლის აჯანყებისთვის. საზოგადოების ყველა ფენაში იყო მტრული დამოკიდებულება ბოლშევიკების მიმართ, რადგან ისინი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ართმევდნენ ქონებას ავიწრობდნენ მათთვის მიუღებელ საზოგადო მოღვაწეებს, სასულიერო პირებს, თავად-აზნაურებს და ეს ქმნიდა მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

2.2. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და მისი შედეგები გორის მაზრაში

როგორც ითქვა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ, პირველი პროტესტი ფარული შეკრებებით და სამომავლო გზების დასახვით,

[49] ვლასა მგელაძე.საქართველო აჯანყებამდე (1921-1924). გვ.35
[50] ვლასა მგელაძე.საქართველო აჯანყებამდე (1921-1924). გვ.36

მოგვიანებით, აქციებითა და მანიფესტაციებით გამოიხატა და საზღვარგარეთიდან ნოე ჟორდანიას მთავრობის დახმარების იმედი ჰქონდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ემიგრაციაში აჯანყებისადმი ერთგვაროვანი მიდგომა არ იყო. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთში ეროვნული განძის მცველად ემიგრირებული ექვთიმე თაყაიშვილი შექმნილ მდგომარეობას შემდეგი სიტყვებით აფასებდა: ,,აქ სულ სულისკვეთებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამით რომ ვერ მოერევიან მტერს? ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობა არ იციან, ჭურში არიან, არც იარაღი აქვთ, არც სურსათი, არც წამალი და მაინც უნდა ავჯანყდეთ! შეიძლება ხალხი ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა ვურჩიოთ აჯანყება ახლანდელ პირობებში“[51].

როდესაც ხელისუფლების წინააღმდეგ ცალკეულმა გამოსვლებმა (სვანეთის, ხევსურეთის) შედეგი ვერ მოიტანეს, აჯანყების მოსამზადებლად დაარსდა გაერთიანებული ორგანო ,,დამკომი“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი), ნიკოლოზ ქარცივაძისა და კონსტანტინე ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. აჯანყების მოსამზადებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა 1922 წლის მარტში შექმნილი სამხედრო ცენტრი კოტე აფხაზის მეთაურობით. პარტიზანული რაზმის უფროსად კახეთში დაინიშნა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ხოლო ქართლში მიხეილ ლაშქარაშვილი[52]. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ მოენეების საშუალებით თითქმის ყოველთვის წინასწარ იცოდა აჯანყებულთა გეგმის შესახებ და ხელმძღვანელთა უმეტესობა მანამდე დახვრიტა (გენერლები: კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკები მუსხელიშვილი, ხიმშიაშვილი, გულისაშვილი და სხვ.), საერთო აზრით, აჯანყების მოწყობა მაინც გადაწყდა 1924 წლის 29 აგვისტოსათვის, მაგრამ ერთი დღით ადრე ჭიათურაში დაწყებულმა გამოსვლებმა ყველაფერი ცხადი

[51] საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. IV, გვ. 287.
[52]სოლომონ ზალდასტანიშვილი.საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ.11-12.

გახადა. 1924 წლის 4 სექტემბერს ბოლშევიკებმა მიაგნეს აჯანყების შტაბს შიო მღვიმეშიდა დააპატიმრეს დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და კომიტეტის მდივანი იასონ ჯავახიშვილი[53].

დაიწყო სასტიკი რეპრესიები და ტერორი.

ხდებოდა უღარიბესი მოსახლეობის წაქეზება ყოფილი თავად-აზნაურების წინააღმდეგ მათი ქონების მითვისების მიზნით. რუისში, ადგილობრივ გლეხს ღვინიაშვილს შეუკრებია ეგზალტირებული ახალგაზრდები და სხვებსაც მოუწოდებდნენ აზნაურ ფანიაშვილების ოჯახის ამოწყვეტისკენ, ხოლო ვინც არ შეუერთდებოდა, ამოწყვეტით ემუქრებოდნენ, რადგან ფანიაშვილებიი ,,აგვისტოს ავანტურისტული გამოსვლების დროს იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ამბოხებაში“. 1924 წლის 6 აგვისტოს მათ ჩაუტარებიათ საერთო კრება, რომლის ოქმშიც ვკითხულობთ: „1924 წლის აგვისტოს 6 დღესა ჩატარდა ს. რუისის წინაუბნის საზოგადო კრება სადაც დაესწრო მცხოვრებთა უმრავლესობა.“

ყოფილი თავადაზნაურების იასონ ფანიაშვილის, ბაადურ ფანიაშვილის, ძმები ევგენი და არჩილ ფანიაშვილების, ვანო ფანიაშვილის, მალხაზ და ტარიელ ფანიაშვილების, გენო ფანიაშვილის, მარიამ ფანიაშვილის და რეზო ფანიაშვილის გადასახლება და მათი ქონების კონფისკაცია კრებამ ერთხმად დაადგინა. „ყოფილი აზნაური იასონ ვასილის ძე ფანიაშვილი შუახნის კაცი აგვისტოს ავანტურისტული გამოსვლების დროს იღებდა აქტიურ მონაწილეობას ამბოხებაში, რაიც გამოიხატებოდა იმაში, რომ გამოსვლის წინ აწყობდა ფარულ კრებებს, სადაც მოწვეული ჰყავდა მთელი ფანიაშვილები და ეწეოდა მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას. გამოსვლების წინა დღით მის სახლში მისულა ვიღაც უცნობი, რომელთანაც ერთად იასონ ფანიაშვილის თაოსნობით გამართული ჰქონდა ფარული კრება, თანაც ღვინით ქეიფობდნენ და ელოდნენ მთავრობის დამხობას, მაგრამ მეორე დღეს დაჭერილი იქმნა. საერთოდ იგი

[53]ვალერი ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991, გვ. 27.

იყო მავნე პიროვნება გლეხებისათვის და მოღალატე მთავრობისა, ხშირად უხსენებია გლეხებში, რომ ჩვენ სხვა სისხლი გვიდგიაო, ქეიფის დროს ახსენებდა მენშევიკურ მთავრობის ბელადს და ეტრფოდა მათ მოსვლას“[54].

ხელისუფლების წაქეზებამ მალევე გამოიღო შედეგი და ტრაგედიაც დატრიალდა: შეიარაღებული ბრბო 1924 წლის 13 სექტემბერს ღამით მოულოდნელად მიეჭრა ფანიაშვილების რამდენიმე ოჯახს და უმოწყალოდ ამოწყვიტა. არ დაინდეს მოხუცები და ბავშვებიც კი. მეორე დღეს რუისის თემაღმასკომის თავმჯდომარე გორის სამაზრო აღმასკომს ატყობინებდა: „ამითი გაცნობებთ რომ ჩემდამი რწმუნებულ რაიონშიდ მოხდა გლეხების მიერ თავადაზნაურობაზე დაცემა რამაც გამოიწვია 35 ქალის და კაცის სხვერპლი. საღამოს ცხრის ნახევარ საათზედ სოფ. რუისშიდ წინ უბანზედ ფანიაშვილებზე და რაზედაც იქმნა სათანადო ზომები მიღებული, დაცემა იყო სრულიად მოულოდნელი. რადგან დაშორებულია უბანი აღმასკომის შენობას ვერ გადავარჩინეთ ცხოვრების უმრავლესობა. გლეხები სტიქიურად გამოდიან, მოსალოდნელია სხვა სოფლებშიდაც რაზედაც გთხოვთ გაგვიწიოთ სათანადო დახმარება რომ თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი ექცეზიები. ნაწილი გლეხებისა შეპყრობილია ისევ ტკბილი სიტყვებით რადგან ძალა არ ყავს აღმასკომს გთხოვთ საჩქაროთ გამოგზავნოთ ჩეკა და აგრეთვე დახოცილ მოქალაქეებს როგორ მოვექცეთ, სახლებზედ დაყენებულია ყარაულები რომ არ გაიფანტოს ნივთები და აგრეთვე დახოცილებზედ, მდგომარეობა აუწერელია გთხოვთ ან თვითონ ჩამოხვიდეთ ანდა გამოგზავნოთ ერთი წარმომადგენელი საქმეების მოსაწესრიგებლად“[55].

გორში საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოვლენილი ტალახაძე, სერგო ორჯონიკიძესთან თავს იწონებდა: ,,მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში 100 კაცი დავხვრიტეო“. ციხეებიდან გამოჰყავდათ და განუკითხავად ხოცავდნენ თავადებს,

[54]გორის არქივი, ფონდი N3, საქმე N 92, გვ.60; საქმე N81, გვ.1, 1924 წ.

[55]იქვე.

აზნაურებს, მეფის არმიის ყოფილ ოფიცრებს, სამღვდელოების პირებს, ვაჭრებს და აწიოკებდნენ მათ ოჯახებს[56].

ადგილობრივ ,,ჩეკას“ სიკვდილმისჯილებისათვის კვერნაქის ქედზე წინასწარ მათივე ხელით გაუთხრევინებიათ საერთო საფლავი. დასახვრეტთა სიაში იყო გავლენიანი გორელი თავადის გიორგი ამილახვრის[57] ვაჟი ოთარი. დახვრეტისას, ოთარისათვის ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა, რის შემდეგ ორმოდან ამომძვრალა და იქვე ახლოს სიმდში დამალულა. დილით კვერნაქზე შემთხვევით გამოვლილი მგზავრისათვის უთხოვია, მათ ოჯახში მისულიყო და სუფთა ტანსაცმელი მიეტანა. როგორც ჩანს, მგზავრს გამბედაობამ უმტყუნა და დაჭრილ ოთარ ამილახვარს ,,ჩეკას“ წევრები დააყენა თავზე, რის შემდეგ, განმეორებით გახვრიტეს[58].

დახვრეტილთა ქონებას საბჭოთა ხელისუფლება უნაწილებდა თავიანთ ერთგულებს გულის მოგების მიზნით. 1924 წელს გორის სამაზრო აღმასკომი იხილავს პროფბიუროს შუამდგომლობას, ,,რათა დახვრეტილთა ქონებიდან მივსცეთ მუშათა კლუბისათვის სხვადასხვა ნივთები“[59]. იქვე, გორის მაზრის აღმასკომს ეგზავნება დახვრეტილთა სია, სადაც მითითებულია: ,,გთხოვთ აღნიშნული ავეჯეულობა გადმოგვცეთ პროფ-ბიუროს განკარგულებაში მუშათა კლუბის საჭიროებისთვის“[60]. ნივთების ჩამონათვალში გვხვდება: ,,ხალიჩა დიდი- კასრაძისა. ხოხობი-ფანიევისა, რბილი მდივანი-მაჭავარიანისა, ხმელი მდივანი-კასრაძისა, მღვდლის სამოსელი-კასრაძისა და სხვა[61].

---

[56]ვალერი ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 29.

[57]გორთან ახლოს სოფ. ორთაშენში, სწორედ ოთარ ამილახვრის მამულში, მისი ვაჟის გიორგის შინა მასწავლებლად იყო მიწვეული ცნობილი ქართველი მეწრალი ვაჟა-ფშაველა, აქვე შეუყვარდა და ცოლად შეირთო მან ამილახვრის უკანონო ქალიშვილი ეკატერინე (კეკე) ნებალაძე.

[58]ელისაბედ გარსევანიშვილი. ამილახვრების ბედი, გაზ. ,,გორი“, 05 თებერვალი 1999, # 3, გვ. 3

[59]გორის არქივი. ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ.4.1924 წელი.

[60]გორის არქივი. ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ. 5.1924 წელი

[61]გორის არქივი. ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ. 6.1924 წელი

თავად ორბელიანების ქონების გამოყენების შესახებ სოფ. ლაიმისყანის თემაღმასკომი იღებს შემდეგ განკარგულებას: ,,1925 წელს 22 აპრილს შედგა სოფ. ლამისყანის ახლად არჩეული გლეხ-კომის სხდომა ორბელიანისეული შენობის და ქონების შესახებ და დაადგინეს: დაევალოს პრეზიდიუმს გადაათვალიეროს ყველა ქონების სიები ორბელიანისეულ ქონებისა ვისაც წაღებულ აქვთ ნივთები და ჩაიბაროს ყოველივე, აგრეთვე ჩასახლებულ იქნეს ძირის ოთახებში ამხ. ილიკო ქისტიშვილი ძირის ოთახებში მცხოვრებ მდგმურებთან დადონ ხელშეკრულება რათა იგინი პასუხისმგებელი იქნენ აღნიშნული შენობის დაცვაში, რათა დაცულ იქნეს შენობა ამისათვის დაკეტილ იქნეს მაღლა სახლის ოთახები.[62]''

ამგვარი სასტიკი რეპრესიებითა და მეთოდებით, მოსახლეობაში საყოველთაო შიშის დანერგვით, ხელისუფლებამ მოახერხა ერთპიროვნული ძალაუფლების დამყარება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანგრძლივი ვადით შეჩერება.

1921 წლის სვანეთის აჯანყება და 1922 წლის ხევსურეთის აჯანყება იყო წინაპირობა 1924 წლის აჯანყებისა და ამისთვის ემზადებოდა ქართველი ხალხი. იყო რეპრესიები და დევნები იმ პირების მიმართ ვინც იყვნენ ფარულად მოქმედი ეროვნული გვარდიის წევრები და ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრები. ინტენსიურად მუშაოებდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც შეძლებისდაგვარად ჰქონდა კონტაქტი ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებთან.

ასევე აქტიურად მოქმედებდა შეფიცულთა რაზმი კახეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ხოლო გორის მაზრაში მიხეილ ლაშქარაშვილის მეთაურობით, მათ განახორციელეს პარტიზანული შეტევა: მილიციონერებზე, ჩეკისტებზე, ხევსურეთთან ერთად რუსის ჯარის წინააღმდეგ და მტერს დიდზიანს აყენებდნენ; მოკლულ-დაჭრილთა გარდა

[62]გორის არქივი. ფონდი N3.არქ.202.აღწ.1. გვ.5.1925 წელი

ტყვეებიც წაიყვანეს... ამან ქაქუცას და მის შეფიცულებს ხალხში სახელი გაუთქვა, იმედი აღუძრა ... ხელისუფლებამ მთებში შემავალი გზები ჯარებით გაკრა... შეფიცულებმა თავი კახეთის მიდამოებს შეაფარეს."[63] გახშირდა დახვრეტები 1922 წლის მიწურულს ეს ხდებოდა თითქმის ყოველ კუთხეში და ეს იწვევდა ხალხში უფრო მეტ ზიზღს კომუნისტების მიმართ რაც დაგვირგვინდა მოგვიანებით 1924 წლის აჯანყებაში.

თავი III. საბჭოთა ხელისუფლება და აგრარული საკითხი გორის მაზრაში

3.1. მაზრის აგრარულ სექტორებად დაყოფა

ახლადდამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოწყობის საკითხს, რამდენადაც, საქართველოს მოსახლეობის 82 % სოფლად ცხოვრობდა და მიწ აოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალება იყო.

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის მიხედვით, მთელი მიწა ,,მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებად" გამოცხადდა. მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარით ან სხვადასხვა საშუალებით ვისმესთვის გადაცემა უქმდებოდა.

ეკლესია-მონასტრებისა და სხვა მფლობელების ხელთ არსებული მიწის ნაკვეთები, ყოველგვარი ნაგებობებით, ინვენტარითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით" უნდა ჩამორთმეოდათ და ჩარიცხულიყო მიწის სახელმწიფო ფონდში, რომლითაც ,,ყველა მშრომელი ისარგებლებდა"[64] .

[63] ვლასა მგელაძე.საქართველო აჯანყებამდე (1921-1924), გვ.36
[64]გაზ. ,,Правда Грузии", 06.04.1921 წ. გვ. 4.

ღარიბი და უმიწო გლეხობა ამ ამბავს თავიდან კმაყოფილებით შეხვდა, მაგრამ კარგად ვერ გაერკვა, რას ნიშნავდა მთელი მიწის ,,სახელმწიფო საკუთრებად“ გამოცხადება, თუმცა, ეს პოპულისტური ნაბიჯი მალე ყველასათვის ცხადი გახდა და წინააღმდეგობამაც იმატა.

ეს ფაქტი ხელისუფლებამ ,,რევოლუციის მტრების“ პროვოკაციულ ქმედებად ჩათვალა და მაშინვე ინდივიდუალურთან შედარებით,კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის მტკიცებას შეუდგა. 1921 წლის 10 მაისს გაზეთი ,,კომუნისტი“ მეწინავეში წერდა: ,,საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხვნა-თესვის კამპანია წარმატებით ჩატარდება, მიუხედავად ათასნაირი პროვოკაციული ხმებისა, ახალი ხელისუფლების მიერ გლეხებისაგან ნამუშევარის ვითომ განზრახულად ჩამორთმევის შესახებ, რომელსაც დაჟინებით ავრცელებენ რევოლუციის მტრები ...თუ უწინ ღარიბ გლეხს უხდებოდა საიჯარო მამულების დამუშავება, რომლის ნაყოფის საგრძნობ ნაწილს სხვა ითვისებდა, ახლა მის სარგებლობაში იქნება, ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში, მიწის საკმაო რაოდენობა, რომელსაც იგი გამოიყენებს და ამით გაიუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას“.

წერილის ავტორი ხოტბას ასხამდა მეჯვრისხევში ღარიბი გლეხების მიერ დაარსებულ კომუნას, რომელთაც საერთო სარგებლობაში ჰქონიათ ,,სამეურნეო იარაღი და მუშა-საქონელი“ და მოუწოდებდა ადგილობრივ ხელისუფლებას კომუნების დაარსებისათვის სხვაგანაც ხელი შეეწყო, რათა გლეხს ,,თავისი თვალით დაენახა კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა მისი ბედშავი ცხოვრების გასაუმჯობესებლად“ და იძულებული გამხდარიყო ,,თავისი ინდივიდუალური ნაჭუჭიდან გამოსვლისა და საერთო მუშაობაში ჩაბმის“ მიზნით[65] .

[65]გაზ. ,,კომუნისტი”, 10მაისი, 1921 წ. # 55, გვ.1.

1921 წლის 19 აგვისტოს სოფელ აბისში ჩატარებულა სოფლის ,,საზოგადო კრება“, რომელსაც დასწრებიან სოფელ ბერძენაულისა და ფცის მაცხოვრებლებიც, დაახლ. 300 კაცამდე.

მოხსენება ,,მიმდინარე მომენტსა“ და მიწათმოწყობის საკითხებზე გაუკეთებია გომის რაიონის პასუხისმგებელ ინსტრუქტორ-ორგანიზატორს ა. ცაბაძეს. მას ,,სასტიკი იერიში“ მიუტანია იმ უპასუხისმგებლო პირებზე, რომლებიც ,,განზრახ ამახინჯებდნენ მიწის დეკრეტის შინაარსს და ხალხს ატყუებდნენ, თითქოს დეკრეტის ძალით“ ღალები უნდა გადაეხადათ მემამულეთა სასარგებლოდ“.

კრება ,,დიდათ ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩენილა“ მიწის საკითხის გარჩევით[66] .

სადაც დარწმუნების მეთოდი არ ჭრიდა, იქ ძალა და იარაღი აკეთებდა თავის საქმეს. ბოლშევიზმისა და რევოლუციის მონაპოვრის დაცვის ლოზუნგით, ყველა სოფელში ტარდებოდა სააგიტაციო კრებები და მიტინგები. 1922 წლის 10 იანვარს ს. მახარაშვილი და ილ. ქილიტაური გორის მაზრის აღმასკომს პატაკს აბარებენ: ,,5 იანვარს 1922 წლისა ჩვენ სოფელ ხიდისთავში მოვახდინეთ ადგილობრივ კომიაჩეკის კრება, სადაც მოხსენება გავაკეთეთ საბჭოების არჩევნების შესახებ. დავავალეთ კომიაჩეკის წევრებს ფართო აგიტაცია გაეწიათ უპარტიო მასაში ...ავუხსენით საბჭოების მნიშვნელობა, რათა მშრომელ გლეხობას მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ საბჭოების არჩევნების დროს. 7 და 8 იანვარს რადგანაც შობა იყო, ჩვენ არავითარი აგიტაცია არ გვიწარმოებია. 9 იანვარს სოფ. ხიდისთავში მოხდა მიტინგი, სადაც დაესწრო სოფ. ოხერის გლეხობა, დაახლ. 500 კაცი და ქალი. ...ეტყობოდა, რომ გლეხები კმაყოფილნი იყვნენ, რადგან საბჭოთა მთავრობა მშრომელ ხალხს აძლევს ნებას, რომ თვით მშრომელმა ხალხმა აირჩიონ საბჭოებში ნდობით აღჭურვილნი~.[67]

---

[66]გაზ. ,,კომუნისტი”, 10სექტემბერი, 1921 წ. # 157, გვ. 4.

[67]გორისარქივი, ფონდი # 3; არქ. # 17; აღწ. # 1; გვ. 98.

მიუხედავად წერილის დასაწყისის რიხიანი ტონისა, შინაარსიდან ირკვევა, რომ ბოლშევიზმის მქადაგებლებს წარმატებამდე ბევრი უკლდათ. ჯერ კიდევ არ ყოფნიდათ აგიტატორები და მოსახლეობაც უარზე იყო მათთვის საკუთარი ცხენების ქირით მიცემაზე: ,,ამხანაგები არ არის, რომ ინსტრუქციების ვალდებულება აასრულონ, ცხენებიც ძნელი საშოვარია და ვერც ბეგარის მხრივ და ვერც ქირით ვერ ვშოულობთ~ - თავს იმართლებდნენ ზემდგომების წინაშე მახარაშვილი და ქილიტაური[68].

1923 წლის 23 აგვისტოს სოფელ ზემო ნიქოზში ჩატარებულა ,,მთელი სოფლის" ყრილობა, სადაც მოხსენებით ,,მიწის კომიტეტის მუშაობისა და მისი მოქმედების შესახებ", გამოსულა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გნოლიძე. ყრილობის მონაწილეებს გამოუთქვამთ ,,სრული უკმაყოფილება" ადგილობრივი მიწის კომიტეტის საქმიანობის თაობაზე[69].

პარტიის აგიტატორები და პროპაგანდისტები ცალსახად უმტკიცებდნენ მოსახლეობას ძველი ,,მტრული" ელემენტებისა და ,,კულაკების", როგორც კლასის განადგურების აუცილებლობას. წარმოაჩენდნენ ,,მათ უღირს როლს" სოფლად მიმდინარე პროცესებში და საზოგადოებას არწმუნებდნენ კულაკების მიმართ განხორციელებულ საბჭოთა სახელმწიფოს დრაკონული საქციელის აუცილებლობაში"[70]

იმის გამო, რომ მოსახლეობა რეფორმის ,,სიკეთეში" დაერწმუნებინათ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გორის სამაზრო კომიტეტს ჯერ კიდევ 1923 წელს მთელი მაზრა დაუყვია 4 აგრო-ზონად, იმის მიხედვით, თუ რომელ ზონაში სოფლის მეურნეობის რომელი კულტურა იყო მეტად განვითარებული.

დოკუმენტის პრეამბულაშივე ნათელი ხდება აღნიშნული გადაწყვეტილების რეალური მიზანი: ,,საქართველოში საბჭოთა მთავრობის დადგენისთანავე, მიწა ხალხის საკუთრებად გამოცხადდა. დღეს მიწის რეფორმა შეიძლება ჩაითვალოს

[68]გორისარქივი, ფონდი# 3; არქ. # 71; აღწ. # 1, დოკ. 114 გვ. 91 1925 წ.
[69]გორისარქივი, ფონდი# 3; საქმე # 38, გვ. 50, 1923 წ.
[70]ალექსანდრე დაუშვილი. ,,კულაკები" საქართველოში, თბ., 2016, გვ. 63-64.

დამთავრებულად. მეორე მთავარი ამოცანა არის სოფლის მეურნეობის განვითარება, რასაც უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა ადგია დაქვეითების გზას, არავითარი წინ მსვლელობა არ ეტყობა, საჭიროა ხალხში კულტურის შეტანა.

...წიგნს ჩვენი გლეხებისათვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ ბევრი დრო დასჭირდება რომ გამოიყენოს იგი შრომის იარაღად (ხაზგასმა ჩვენია - გ. ტ.), მას სჭირია უჩვენოთ, თავისი თვალით ვანახოთ, რადგან მათი აზროვნება დამოკიდებულია მაგალითებზე“[71].

როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, წიგნი გლეხობისათვის ,,მომცდენი“ იყო, ამიტომ მოსახლეობის ამ ძირითად ფენას მთელი ყურადღება უნდა გადაეტანა მიწის ნაყოფიერების ამაღლებაზე.

აგრო-ზონები თავის მხრივ დაიყო ქვე-უბნებად.

I უბანში შედიოდა ზემო ქართლი. აქ მეურნეობის მთავარ დარგად მემინდვრეობა ითვლებოდა. უბანი იყოფოდა ორ ქვე-უბნად: ა)სურამ-ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოები; ბ) დოღლაურ-დედოფლის მინდვრები.

II უბანი – ლიახვის ხეობა. აქ სოფლის მეურნეობის მთავარ დარგად მეხილეობა ითვლებოდა და სამ ქვე-უბნად იყოფოდა:

ა)დიდი ლიახვის მიდამოები;

ბ) პატარა ლიახვის მიდამოები;

გ) გორის მიდამოები.

III უბანში ახალქალაქის ველი შედიოდა, რომელიც ხიდისთავიდან იწყებოდა, მიუყვებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს და სოფ. ძეგვში მთავრდებოდა. მასში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები იყო განვითარებული და ორ ქვე-უბნად ითვლებოდა: ა)ახალქალაქისა და ბ) კავთისხევისა.

[71]გორის არქივი, ფონდი # 3; აღწ. # 1; საქმე # 26; გვ. 119, 1923 წ.

IV უბანი ტირიფონის მიდამოები იყო. მთავარ დარგად აქ მემინდვრეობა ითვლებოდა. იგი იწყებოდა მეჯვრისხევის გზიდან და ქსნამდე მიდიოდა. მასში გამოყოფილი იყო ორი ქვე-უბანი: ა) ტირიფონის მინდვრები და ბ) ლეხურა-ქსნის ხეობა.

განზრახული იყო თითოეულ უბანზე შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის მიმაგრება, რომელსაც ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე უნდა ეცხოვრა[72] .

როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, მაზრაში პირველი კომუნა სამთავისში შეიქმნა 1924 წელს, რასაც მოსახლეობაში დიდი ეფექტი ჰქონდა და მელევე სხვებმაც მიბაძეს. სამთავისის მსგავსად მაზრის სხვადასხვა სოფლებში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო არტელები და პირველი კოლექტიური მეურნეობებიც.

ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მოსახლეობა დაერწმუნებინა კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში კერძო (ინდივიდუალურ) მეურნეობასთან შედარებით, ეხმარებოდა ღარიბ მოსახლეობას, მოტივაციის ასამაღლებლად შემუშავდა და დაინერგა სოც-შეჯიბრების სისტემა. მაგ., ხიდისთავის მეურნეობას სოც-შეჯიბრში გამოუწვევია ქვახვრელის კოლმეურნეობა. კოლექტივის წევრები დაუყვიათ ათეულებად. თითოეულ მათგანს ჰყოლია თავისი ხელმძღვანელი. სამუშაო საათები განსაზღვრული არ ყოფილა („მუშაობენ საღამომდე“), ხელფასი ნაწილდებოდა კატეგორიების მიხედვით. I კატეგორია იღებდა შედარებით მცირე თანხას, ხოლო III - ყველაზე მაღალს. წლის ბოლოს საზრდო ნაწილდებოდა ოჯახში მჭამელისა და მუშა ხელის ოდენობის მიხედვით. გამოყენებული ყოფილა მცირეწლოვანთა (13 წლიდან) შრომაც, თუმცა ისინი ისეთსავე ხელფასს იღებდნენ, როგორსაც უფროსები.

ხიდისთავის სასოფლო-სამეურნეო არტელის სახელწოდება ყოფილა - „ახალი მეურნე“. მასში გაერთიანებულა 31 ოჯახი. აქედან 36 მამაკაცი, 50 - ქალი და 6 მოზარდი (13-16 წლის). ამ დროისათვის არტელის საკუთრებაში ყოფილა 25 ჰექტარი სარწყავი

[72]გორის არქივი, ფონდი # 3; აღწ. # 1; საქმე # 26; გვ. 119, 1923 წ.

მიწა, 335 - ურწყავი, ბოსტანი დათესილი ჰქონია 10 ჰექტარზე, ხეხილის ბაღი - 4 ჰ-ზე, ვენახი - 20 ჰ-ზე, სათიბი ჰქონია 0,5 ჰ. საბალახო და საძოვრებისათვის განკუთვნილი ყოფილა 5 ჰექტარი მიწის ფართობი[73].

მალე სოფლად დაიწყო მოსახლეობის კოლექტივებში იძულებით გაერთიანება. ურჩებს ქონებისა და საარჩევნო ხმის ჩამორთმევა, ან სულაც გადასახლება ელოდათ. ამ პროცესმა მრავალი უდანაშაულო და გამრჯე, მეურნე გლეხი შეიწირა, მაგ.: ატენელი ალექსანდრე მზარეულიშვილისათვის ხმის უფლება მხოლოდ იმიტომ ჩამოურთმევიათ, რომ მას მოჯამაგირე ჰყოლია და მამული დაქირავებული წესით დაუმუშავებია, მაგრამ მოგვიანებით კრებაზე გაურკვევიათ, რომ აღნიშნული სიმართლეს არ შეეფერებოდა, ამიტომ გორის რაიაღმასკომს სთხოვდნენ მზარეულიშვილისათვის საარჩევნო ხმის უფლება აღედგინათ [74]. სამაგიეროდ ცუდად დასრულებულა ხიდისთაველი ნიკო ფიცხელაურის საქმე. კრებას დაუდგენია, რომ იგი,,საშიშ პიროვნებას წარმოადგენდა ხიდისთავის მცხოვრებთათვის და მისთვის გადასახლების გადაწყვეტილება გამოუტანია“[75].

მოგვიანებით, ფიცხელაურის საკითხს მოგვიანებით კიდევ ერთხელ მიბრუნებიან. მომხსენებელი აღნიშნავს: ,,ნაცვლად იმისა, რომ ფიცხელაური დამდგარიყო საბჭოთა პლატფორმაზე, მან გააცხოველა კლასიკური ბრძოლა მთავრობისა და განსაკუთრებით, სოფ. ხიდისთავის გლეხობის წინააღმდეგ.

საკმარისად დადასტურებული იყო, რომ იგი იწვევდა ფარულად კულაკების კრებებს და რაზმავდა ღარიბ გლეხობას საბჭოთა წევრებისა და კოლექტივის საწინააღმდეგოდ“.

---

[73]გორის არქივი, ფონდი 226, შეს. ერთ. 31, საარქივო # 51, გვ. 20.
[74]გორის არქივი, ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. 15.
[75]გორის არქივი, ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. 17.

კრება სურვილს გამოთქვამდა: ,,იმის გამო, რომ ხიდისთავის გლეხობა ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლებულიყო კულაკობის ბრჭყალებიდან და გასაქანი მისცემოდა საზოგადო მშენებლობაში“, განმეორებით სთხოვდა გორის რაი-აღმასკომს, რათა ფიცხელაური სხვა ადგილას გადაესახლებინა.

რაც შეეხება ხაპირაშვილს, გამომსვლელების თქმით, მასაც,,მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხიდისთაველ კულაკებთან, ვაჭრებთან, მეფის ჯაშუშებთან და მათ ხელმძღვანელობას უწევდა, აწყობდა არალეგალურ კრებებს და რაზმავდა გლეხებს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ“.

კრების დადგენილებაში დამატებით აღნიშნული იყო, რომ ფიცხელაური იყო ყოფილი აზნაური, მეფის ჯაშუში, მენშევიკების დროს მფრინავი რაზმის აგენტი. ავიწროებდა გლეხობას და სდევნიდა კომუნისტებს. მას დაუჭერინებია ხიდისთავის კომ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი იოსებ კოპინოვი. ამიტომ, გასაბჭოებისთანავე მისთვის სამოქალაქო ხმის უფლება ჩამოურთმევიათ, ხოლო 1924 წელს დაუპატიმრებიათ კიდეც, როგორც ხელისუფლების მოწინააღმდეგე.

საბოლოოდ, გაერთიანებულ კრებას გამოუტანია გადაწყვეტილება ფიცხელაურის გადასახლებისა და ხაპირაშვილის დაპატიმრების შესახებ[76].

კრებას თავმჯდომარისათვის დაუვალებია,,თვალყურის დევნება“, რათა რეგისტრაციაში გაეტარებინა საარაყე ქვაბები, მოსახლეობის მიერ ფარული არყის ხდა რომ არ მომხდარიყო [77].

ბუნებრივია, მოსახლეობა ახალ გადასახადს ხალისით არ შეხვდებოდა, ამიტომ კრება კიდევ ერთხელ მიბრუნებია ამ საკითხს და დაუდგენიათ: ,,ვინაიდან მოსახლეობა ვერ გამოერკვა თვით დაბეგვრის მნიშვნელობაში და იწვევს გლეხობაში აურ-ზაურს, ამისათვის იქმნეს ხელმეორედ ჩატარებული თვით-დაბეგვრის საკითხი“, ხოლო იმ

[76]გორის არქივი, ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. 19-20.
[77]გორის არქივი, ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. გვ. 23.

გლეხებზე, რომლებიც გზის მშენებლობის შრომით ბეგარაზე არ გამოდიოდნენ, მილიციის თანამშრომლები მიუმაგრებიათ“[78].

როდესაც ვერც ამან გაჭრა, განსაკუთრებით,,ურჩები“ უფრო მკაცრად დაუსჯიათ. ისინი დღიურ მუშახელზე ორი მანეთით და უღელ საქონელზე 5 მანეთით ჯარიმდებოდნენ.

უმსჯელიათ ხიდისთაველი ვასო ჯერიაშვილის შესახებაც, რომელსაც სამოქალაქო ხმის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული. როგორც საბჭოს წევრების ჩვენებებიდან გამორკვეულა, 1923 წლიდან ვასო ჯერიაშვილს,,დაუნებებია ვაჭრობისათვის თავი, დაუწყვია ფიზიკურად მუშაობა და გამოსწორებულა ყოველმხრივ“, ამიტომ მისთვის ხმის უფლება აღუდგენიათ.

პრეზიდიუმს არ დაუკმაყოფილებია ალექსი ანდრიას ძე კოვზიაშვილის განცხადება,,კულაკური ელემენტებიდან მოხსნის“ შესახებ, რადგან იგი ეწეოდა,,ფოდრაჩიკობას სხვა და სხვა ქალაქში“ და ,,არ ცხოვრობდა საკუთარი შრომით“[79].

მოსახლეობის მხრიდან სულ მცირე წინააღმდეგობა ხელისუფლებისათვის სადამსჯელო ღონისძიებების საბაბი ხდებოდა, ამიტომ მასიური ხასიათი მიეცა კოლმეურნეობიდან გარიცხვის ფაქტებს. მაგ. შალიკო მიხეილის ძე ნონიკაშვილის კოლმეურნეობიდან გარიცხვის მიზეზი ის გამხდარა, რომ იგი თვითნებურად წასულა კოლმეურნეობიდან და საკუთარი სახლის მშენებლობაზე მუშაობდა[80]. სონკა ტლაშაძე კოლმეურნეობიდან იმის გამო გაურიცხავთ, რომ კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებას არ დამორჩილებია და გუთანზე წასვლაზე უარი უთქვამს[81].

---

[78]გორის არქივი, ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. გვ. 23.
[79]გორის არქივი, ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1, გვ. 27.
[80]გორის არქივი, ფონდი # 4, აღწ. # 1; საქმე - 423; გვ. 6
[81]გორის არქივი, ფონდი # 4, აღწ. # 1; საქმე - 423; გვ. 9.

ხელისუფლების აგიტაციის მიუხედავად, კოლექტიურსა და ინდივიდუალურ სექტორს შორის, უპირატესობა აშკარად ამ უკანასკნელის მხარეს იყო და ციფრები განსხვავებულად მეტყველებდნენ. სოფ. ხიდისთავის მაგალითზე რომ ვიმსჯელოით, ინდივიდუალურ მეურნეობებს ხორბალი დათესილი ჰქონდათ 262 ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეობას მხოლოდ - 82 ჰ-ზე. ქერი ინდივიდუალურ სექტორს ეთესა 199 ჰექტარზე, ხოლო კოლმეურნეობას 63 ჰ-ზე. კიდევ უფრო სამარცხვინო იყო ჩამორჩენა მოსავლიანობის თვალსაზრისით. ინდივიდუალურ სექტორს აღნიშნულ ფართობზე 260 ცენტნერი ხორბალი და 45 ცენტნერი ქერი უნდა მოეყვანა, ხოლო კოლმეურნეობას, შესაბამისად - 10 ცენტნერი ხორბალი და 5 ცენტნერი ქერი[82] .

ზემოთ მოტანილი ციფრები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ინდივიდუალური მეურნეობის უპირატესობას კოლექტიურზე, მაგრამ ამის აღიარება საბჭოთა სისტემისათვის კატასტროფის ტოლფასი იყო, ამიტომ ხელისუფლება კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. ჯერ კულაკებად,,მონათლეს“ ის გლეხები, ვინც დაქირავებულ მუშა-ხელს იყენებდნენ, შემდეგ - ვისაც საკუთარი ოთხფეხა პირუტყვი ჰყავდა და კოლექტივს არ აბარებდა, მოგვიანებით - ვინც კოლექტივში ნებაყოფლობით შესვლაზე უარს ამბობდა და სხვ.

3.2. შეტევა „წვრილბურჟუაზიულ“ ელემენტებზე და კოლექტივიზაციის საწყისი ეტაპი (სამთავისის კომუნა)

1922 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაციონალ-უკლონისტური შემადგენლობა ხელმძღვანელობას ჩამოშორდა და გადადგა, დაიწყო აგრარული რეფორმის დაჩქარებული წესით განხორციელება. გლეხები მასობრივად ერეკებოდნენ მემალულე თავად-აზნაურებს საკუთარი მამულებიდან. ჩამორთმეული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწევი ძალა ნაწილდებოდა გლეხებს შორის. მხოლოდ გორის მაზრაში ამ დროისათვის

[82]გორის არქივი, ფონდი # 4; ანაწ. 1, საქმე # 185.

მემამულე თავად-აზნაურობისათვის ჩამოურთმევიათ 747 დესეტინა მიწა, 83 სახლი, 21 წისქვილი[83].

გორის მაზრაში ერთ-ერთი პირველი კომუნა შეუქმნიათ სოფელ სამთავისში 1924 წლის 24 აგვისტოს. სოფლის მცხოვრებლებს ჩაუტარებიათ საერთო კრება, რომელსაც დასწრებია 106 სული. მოხსენება კომუნის დაარსების თაობაზე გაუკეთებია გ. უზნაძეს, რომელმაც ,,მოძმეთათვის“ აუხსნია კომუნის მნიშვნელობა, ,,როგორც გლეხების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში“[84].

კომუნის საბჭოში აირჩიეს 7 წევრი, რომელთაც დაევალათ საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება. აღსანიშნავია, რომ კომუნის 95 წევრიდან მხოლოდ 5 იყო ,,საშუალო შეძლების“. დანარჩენები უღარიბეს გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ.

კომუნის კანცელარია თავდაპირველად განთავსდა ართ-ერთი ადგილობრივი გლეხის ჩამორთმეულ საცხოვრებელ სახლში. მალევე კომუნის წევრებმა საკუთარი სახლები დაარღვიეს და მთელი სამშენებლო მასალა შეფასდა 17 ათას მანეთად, რამაც კომუნის წევრებს საშუალება მისცა 1925 წლის მარტში ახალი 3 სართულიანი საცხოვრებელი შენობა აეგოთ, რომელიც 28 ოთახისაგან შედგებოდა.

ამ ფაქტმა კომუნის წევრთა შორის განხეთქილება გამოიწვია და ორმა მათგანმა კომუნა საკუთარი სურვილით მიატოვა, ხოლო ორი მათგანი, თავიანთი ოჯახებით საზოგადო კრების მიერ იქნა კომუნიდან განდევნილი ,,როგორც საერთო საქმიანობაში არევდარევისა და შუღლის შემტანი“[85].

კომუნის საქმე ნაწილდებოდა შემდეგი დარგების მიხედვით: 1)მებაღეობა, 2) მემინდვრეობა, 3) მეფრინველეობა, 4)მეძროხეობა, 5) მეჯინიბეობა, 6) მეფუტკრეობა-მეღორეობა.

---

[83]საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. IV, გვ. 278.
[84]სერ. გერსამია. სამთავისის კომუნა (ისტორია, პრაქტიკა), ტფ., 1926, გვ. 9.
[85] სერ. გერსამია. სამთავისის კომუნა, გვ. 12.

სამზარეულოში მორიგეობაზე ყოველდღიურად გამოყოფილი იყო სამი ქალი, რომელთაც ევალებოდათ სადილის მომზადება, განაწილება, ჭურჭლის დარეცხცა და სხვ. კვების რაციონს, ძირითადად, შეადგენდადილით და საღამოს ჩაი, სადილად ლობიო, იშვიათად ხორცი, ღვინო და სხვ. სადილის შესახებ კომუნის წევრები იგებდნენ ზარის საშუალებით, ვინც შედარებით შორს იყო გაგზავნილი, მათთვის ადგილზე მიჰქონდათ საკვები.

ცალკე შენობაში იყო განთავსებული სასადილო, სამედიცინო პუნქტი, სამრეცხაო, სადალაქო, აფთიაქი და სხვ.

კომუნის ერთ-ერთ წევრს, რომელიც ხელობით მასწავლებელი იყო, ევალებოდა კომუნის წევრთა შორის წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლება.

პრეზიდიუმის ორი წევრი (თავმჯდომარე და მდივანი), რომელთაც საორგანიზაციო საკითხებისნ გაძღოლა ევალებოდათ, ყოველდღიური შრომისაგან გათავისუფლებულნი იყვნენ.

კომუნაში დიდი ყურადღება ეთმობოდა პოლიტიკურად ,,აღზრდის“ საქმეს. ამ მიზნით სისტემატიურად იმართებოდა ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის საჯარო კითხვა.

ხელისუფლების რეკლამა კომუნისადმი იმდენად ,,მომხიბლავი“ იყო, რომ სამთავისში მასიურად დაიძრნენ პოეტები, ბელეტრისტები, პუბლიცისტები, პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთაც მშრომელი მოსახლეობისათვის უნდა აეხსნათ კოლექტიური შრომის უპირატესობა კერძოსთან. სერგი გერსამიამ სამთავისის კომუნას სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა, რომლის შესავალშივე განმარტებული იყო: ,,სამთავისის კომმუნის საფუძველი არის კოლექტიური შრომა და, აქედან გამომდინარე, ყოველი საღი და საქმიანი მუშაობა და ეს უკვე გულისხმობს იმას, რომ კომმუნა ნაკარნახევია გლეხკაცობის ტრფიალისაგან მომავალ კომუნიზმისადმი“[86].

[86]ს. გერსამია. სამთავისის კომუნა, გვ. 10.

ავტორის გაღიზიანებას იწვევდა ის ფაქტი, რომ კომუნას დაქირავებული მუშა-ხელისათვის ყოველდღიურად დიდი სანოვაგე ეხარჯებოდა ,,მეტი რომ არ ვახსენოთ, ზედმეტი სამი ფუთი პური გადის ყოველდღიურად და, ამას გარდა, ყოველთავის ჭამის დროს მუშებს ღვინოსაც აძლევენ, რაღა თქმა უნდა სისტემატიურად ასეთი ხარჯის გაწევა კომუნას არ მისცემს საშუალებას თავის წევრთა კვების საქმე გააუმჯობესოსო“[87].

სამთავისის კომუნამ 1930 წლამდე იარსება. ამის შემდეგ იგი დაიშალა, რადგან ხელისუფლება ბევრად უფრო მასშტაბული ,,კოლექტივიზაციისათვის“ ემზადებოდა.

თავი IV. საბჭოთა ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკა გორის მაზრაში

4.1. ღონისძიებები მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით

საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროს შიდა ქართლში და საქართველოშიც დაიწყეს ბოლშევიკებმა რეფორმების გატარება, ქვეყანა გადაიოდა ახალ რელსებზე, რადგან საბჭოთა რეჟიმმა შეცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დანატოვარი ინსტიტუტები მთლიანად და მოსახლეობასაც უჭირდა ახალ სისტემაზე გადასვლა, ზოგი მოქალაქე ეჭვით ხვდებოდა ბოლშევიკურ რეფორმებს, ზოგიც დადებითად. საბჭოური რეფორმებიდან აღსანიშნავია წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის საკითხი.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საბჭოთა რეჟიმისთვის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია იყო.

1921 წლის ოქტომბერში გორის მაზრის თემ-აღმაკომში შემავალ სოფლებს ეძლევათ დირექტივა, ქოხ-სამკითხველოების დაარსების მიზნით მოვლენილი ინსტრუქტორებისათვის მატერიალური და სხვა შეძლებისდაგვარად დახმარების შესახებ, ,,ვინაიდან აღნიშნული სამკითხველოების დაარსება, მცხოვრებთა შორის

[87]ს. გერსამია. სამთავისის კომუნა, გვ. 28.

სწავლა-განათლების გასავრცელებლად ფრიად მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენსო.[88]''

ზემოხსენებული საკითხი თავდაპირველად ხიდისთავში წამოუჭრია ეპიფანე სიმაშვილს, რომელიც მაშინ ,,ინსტრუქტორის'' თანამდებობაზე მუშაობდა. მისი ინიციატივით 1923 წლის ივნისის თვეში ხიდისთავში მოუწვევიათ ხალხმრავალი კრება, რომელსაც ესწრებოდა გორის თემ-აღმასკომის თავჯდომარე ქურდაძე და ცნობილი პედაგოგი ფალა ლაფერაშვილი. კრებაზე გამომსვლელებს შეკრებილი საზოგადოებისთვის წერა-კითხვის მნიშვნელობა და აუცილებლობა აუხსნიათ.კრებას ერთხმად მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ,,უნდა იქნას აღმოფხვრილიყო წერა-კითხვის უცოდინრობის საკითხი და ბოლო უნდა მოეღოს ამას მთელ სოფელში".[89]

მასიურად იმართებოდა კრებები მაზრის სხვადასხვა სოფლებში, სადაც მოსახლეობას არწმუნებდნენ წერა-კითხვის ცოდნის აუცილებლობაში. ამ მიზნით, მოსახლეობა ქოხ-სამკითხველოებში უნდა გამოცხადებულიყო ყოველ კვირა დღეს ან სხვა უქმე დღეს და იმ დღესაც, როდესაც არა სამუშაო და წვიმიანი ამინდი იქნებოდა. მსურველთა რაოდენობა ჯერ მარტო ხიდისთავში 70 კაცი ყოფილა. ხიდისთავის მაგალით გადაუღიათ სხვა გორის მაზრის სოფლებსაც[90].

წერა-კითხვის მსურველნი უნდა გამოცხადებულიყვნენ ყოველ უქმე დღეებზე სოფლის სკოლების შენობაში კონკრეტულ საათებში წერა-კითხვის შესასწავლად. ამ საქმის მესვეურად შეურჩევიათ ფალა ლაფერაშვილი და მისი მეუღლე ვერა ლაფერაშვილი და საკმაოდ დიდი იყო მსურველთა რაოდენობა.

---

[88]გორის არქივი, ფონდი N3, არქ. N1, აღწ. 1. გვ. 154, 1921 წელი.

[89]ალიმბარაშვილი იოსებ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები გორის მაზრაში, *საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავისადმი,* 25,02,2021, ონლაინ https://sangu.edu.ge/ka/article/100-tseli-sakartvelos-okupatsiid-1.

[90] იოსებ ალიმბარაშვილი. ხიდისთავის ისტორია (ხელნაწერი), გვ. 24

სოფელ ხიდისთავის მაგალითი გადაუღათ ხელთუბნისა და შიდა ქართლის სხვა სოფლებსაც და გორის თემ-აღმასკომისთვის მოუმართავთ და დახმარების პირობაც მიუღიათ გორის მაზრის სოფლებს.[91]

4.2. იდეოლოგიური წნეხის გაძლიერება საგანმანათლებლო სექტორში

გორი, ჯერ კიდევფეოდალურ საქართველოში წარმოადგენდა მძლავრ საგანმანათლებლო ცენტრს. ასევე გაგრძელდა რუსული ხელისუფლების დროსაც.1876 წელს დაარსებული ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, გორის 1920 წლის 19-20 თებერვლის დამანგრეველი მიწისძვრის დროს დაზიანდა დადროებით გადავიდა ბორჯომში. ლაბორატორიის აღჭურვილობა, ინვენტარი და სასწავლო ხელსაწყოები ყუთებში დაასაწყობეს და თან წაიღეს, მაგრამ სასწავლებელმა მალევე შეიცვალა ადგილმდებარეობა და სურამში გადავიდა, ამ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გასაბჭოვდა და ქვეყანას მოედვნენ წითელ არმიელები. 1921 წლის მარტში სურამში შესულმა საბჭოთა არმიის ნაწილებმა დააზიანეს, ან გატეხეს ყუთები და სასწავლებლის სამეცნიერო აღჭურვილობა თან წაიღეს.

1922 წელს გორის ქალთა ჰუმანიტარულ ტექნიკუმს შეუერთეს ვაჟთა გიმნაზია და ჩამოყალიბდა გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმი სადაც სწავლა იყო ორ წლიანი. ეს ტექნიკუმი გახდა მემკვიდრე გორის სამასწავლებლო სემინარიისა. განათლების სახალხო კომისარიატის 1923 წლის ივლისის დადგენილებით, გორის პედაგოგიური ტექნიკუმი გადააკეთეს სპეციალურ ორ წლიან პედაგოგიურ ტექნიკუმად.

ტექნიკუმს ჰქონდა თავისი წესები მიღებასთან დაკავშირებით. მიიღებოდნენ 16 წლიდან მსმენელები, რომელთაც უნდა ჰქონოდათ დამთავრებული 9 წლიანი შრომის

[91]ალიმბარაშვილი იოსებ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები გორის მაზრაში, *საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავისადმი,* 25,02,2021, ონლაინ https://sangu.edu.ge/ka/article/100-tseli-sakartvelos-okupatsiid-1.

სკოლა. სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებოდათ კომპარტიის,პროფკავშირისა და ახალგაზრდა კომპარტიის ცკას მივლენილ პირებს. მსმენელი ასევე უნდა გაევლოთ სამედიცინო შემოწმება და ჩაებარებინათ ზეპირი და წერითი გამოცდები სხვადასხვა ენაში.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს აძლევდნენ სპეციალურ მოწმობას დამთავრებასთან დაკავშირებით, ამ მოწმობით შეეძლოთ მასწავლებლობა და უკვე იყვნენ განათლების კვალიფიკაციური მუშაკები. 1923 წლის აგვისტოს დადგინელებით რომელიც სახალხო განათლების კომისარიატის მიერ იყო გამოცემული, მომავალი სასწავლო წლიდან ჰუმანიტარული და პედაგოგიური ტექნიკუმები უნდა გაერთიანებულიყვნენ, ერთი მმართველობის ქვეშ. სასწავლებლის მოსწავლეებს ენიშნებოდათ სტიპენდიაც და პირველკურსელებს სასწავლებელი საცხოვრებელი ბინითაც უზრუნველყოფდა. სასწავლებელში სწავლების ენა ქართული იყო. მოსწავლეები სწავლობდნენ შემდეგ სასწავლო კურსებს: წერა-კითხვა, ანგარიში, პედაგოგიკა,ფსიქოლოგია, ლიტერატურა, რუსული ენა, მსოფლიო ისტორია და სხვა. ჩამოთვლილთაგან გამომდინარე მართლაც მრავალფეროვანი იყო სასწავლო კურსი, ამავე დროს კურსდამთავრებულებს ხელმოწერით უნდა დაედასტურებინათ, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იმსახურებდნენ განათლების სფეროში ისევ.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები აგრძელებდნენ წარმატებით საქმიანობას განათლების სფეროში. პედაგოგიკურ ტექნიკუმში თავს იყრიდა განათლებული პერსონალი. სასწავლებლის გამგე კირილე არველაძეს დამთავრებული ჰქონდა ტარტუს უნივერსიტეტი ესტონეთში და პედაგოგიურ საქმიანობას 1912 წელში მისდევდა ჯერ კიდევ. სხვა პერსონალსაც განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული, მათ გვერდითაც იყო ისეთი პერსონალი ვისაც სამშობლოში ჰქონდათ განათლება მიღებული. სასწავლებლის პერსონალის დიდი ნაწილი იყო დაჯილდოვებული

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ უმაღლესი ორდენებით, მაგრამ ნაწილი საბჭოთა რეპრესიებს მოგვიანებით მაინც ვერ გადაურჩა.

1924 წლის 18 დეკემბერს პირველი და მეორე კურსის მსმენელებს დაუსვამთ საკითხი ხელმძღვანელობის წინაშე რომ სასწავლებელს მინიჭებოდა სტალინის სახელი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო სასწავლებელს იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა.[92]

სასწავლებელი, თავის მხრივ, საბჭოთა ყაიდაზე იყო მოწყობილი და დიდი როლი ეკავა საბჭოთა არჩევნებს. მოსწავლეები და მასწავლებლები ხშირად გამოდიოდნენ სააგიტაციო კრებებზე და ეწეოდნენ ბოლშევიკურ პროპაგანდას, ასევე ანტირელიგიურ პროპაგანდასაც, დადიოდნენ საბჭოთა სიმბოლიკებით. სტუდენტები და მასწავლებლები, ასევე ჩართული იყვნენ სოფლის მეურნეობაში და იგზავნებოდნენ მაზრის სხვადასხვა სოფლეში მოსავლის აღების დროს ან მოყვანის.

კურსდამთავრებულთა უმეტესობა საქმდებოდა თავისივე პროფესიით. 1926-1927 წლებში 25 კურსდამთავრებულიდან დასაქმდა უმეტესობა. იმართებოდა ექსკურსიები, ასევე წესად იყო ქცეული გამოსაშვები საღამოების აღნიშვნა. სასწავლებელი უშვებდა გაზეთებსაც ჟურნალი ,,წითელი პედაგოგი'' და ,,შრომა''. დიდი ფონდი ჰქონდა ასევე სასწავლებლის ბიბლიოთეკასაც.

შენობა, სადაც განთავსებული იყო სასწავლებელი, ნახევრად დანგრეული იყო და ხელმძღვანელობას მისი რესტავრაციის სახსრები არ ჰქონდა. 1923 წლის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ სასწავლებელი განიცდიდა ფინანსურ სიდუხჭირეს, იმის გამო, რომსტუდენტების უმეტესობა ღარიბი გლეხის შვილი იყო და გადასახადს არ იხდიდნენ. მასწავლებლის ხელფასები მცირე იყო და ამიტომ გორის სხვა სოფლებში

[92]იოსებ ალიმბარაშვილი, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიიდან (ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი), გორი, 2018. გვ.25.

ასწავლიდნენ დამატებით. ამას ემატებოდა ისიც, რომ პედაგოგთა ნაწილი ასრულებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებასაც[93].

პედაგოგიური სასწავლებლისთვის დადგა რთული პერიოდი 1924 წელს, როდესაც იფეთქა ანტისაბჭოთა აჯანყებამ და ამიტომ გადააკეთეს ლაზარეთად სასწავლებელი და სწავლაც გვიან დაიწყო. ამ პერიოდისთვის დაიწყო სასულიერო პირების მასობრივი დევნა მათ შვილებს სასწავლებელში აღარ იღებდნენ, თვითნ მოსწავლეებს დაევალათ ანტირელიგიური პროპაგანდა.

1927 წლის დეკემბერში ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას მისდის საგანგებო ცირკულარი, რომლის მიხედვითაც საშობაო დღესასწაულებთან დაკავშირებით 15 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ყველასაწარმო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულები ვალდებულები იყო ეწარმოებინათ ანტირელიგიური პროპაგანდა.

მოსწავლეებს უნდა დაემუშავებინათ ბუნებისმეტყველებიდან და საზოგადო მეცნირებებიდან ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობდა რელიგიური ცრურწმენების გაფანტვას საზოგადოებაში[94].

1924 წლის აჯანყების შემდეგ თავად-აზნაურთა სოციალური ფენა ფიზიკურად განადგურდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ეკლესიის მსახურთა რაოდენობაც. ხელისუფლების შემდეგი სამიზნე სოფლად მცხოვრებნი შეძლებული გლეხობა და ქალაქის წვრილ ვაჭრები იყვნენ, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდნენ და მათ მოიხსენიებდნენ, როგორც ,,კულაკებს'', ,,ბურჟუაზიის'' ნარჩენებსაც უწოდებდნენ. ეს ყველაფერი აისახა იმაზეც, რომ სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეეების უმეტესობა 25 იდან 18 იყო გლეხის შვილი, 6 მუშის შვილი,

[93]იქვე
[94]იქვე, გვ. 27

ხოლო სასულიერო პირების და თავად-აზნაურთა შვილები საერთოად არ ყოფილან ჩარიცხულნი 1926-1927 წლებში[95].

თავი V. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა გორის მაზრაში

5.1. ეკლესია-მონასტრების დახურვა და შეტევა სასულიერო წოდების წინააღმდეგ

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1921 წლის თებერვალში, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, რუსული მსოფლმხედველობის, მაგრამ ეროვნებით ქართველი ბოლშევიკი ლიდერები, კომუნისტებმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ყველა ეროვნულ ძალას და ყველაფერ ქართულს. ამიტომ საბჭოთა კავშირში ანექსირებულ საქართველოსაც მოუწია თავისი ეროვნული ღირებულებების დათმობა, განსაკუთრებით უკიდურესად იზღუდებოდა ეკლესია. კომუნისტებმა უარყვეს რელიგია და თავად კომუნიზმი გამოაცხადეს რწმენის ახალ სახეობად, საბჭოურ იდეალად და ამ იდეოლოგიას ე.წ. ,,ახალ რელიგიას" კი უწოდეს ,,ლენინიზმი".

,,ახალი რელიგიის" მამამთავრების: მარქსის, ენგელსის, ლენინის შეხედულებები რელიგიაზე მკვეთრად რადიკალური იყო და ისინი მიისწრაფოდნენ ისეთი

[95]იქვე, გვ. 29

საზოგადოების შექმნისკენ, სადაც ხალხი ყოველგვარი რელიგიური წარმოდგენისაგან იქნებოდა თავისუფალი.

საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავდა ე.წ, ,,ახალი ადამიანის~ ფორმირებაზე, რომელიც იქნებოდა თავისუფალი ყველანაირი მრწამსისგან და მისი ავტორიტეტი, ,,სინდისი, გონება და პატიოსნება“ იქნებოდა მხოლოდ კომუნისტური პარტია.

სარწმუნოების საკითხი აუცილებლად უნდა გადაეჭრათ საბჭოთა მესვეურებს და ამიტომ, მათ უნდა მიეღოთ სასწრაფოდ ,,საეკლესიო კურსი''. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დადგა ორი მთავარი საკითხი; პირველი ეს იყო ეკლესიის ლიკვიდაცია, ხოლო მეორე საეკლესიო მოდერნიზაცია. ეკლესიის მოდერნიზაციას მხარს უჭერდა სტალინი, ხოლო მის ლიკვიდაციას ლენინი და ტროცკი.

საბჭოთა სახელმწიფოში მიმდინარეობდა გარკვეულწილად სოციალური და ეკონომიკური ძვრები, ასევე პროგრესული ძვრები, ამიტომ ეს თავის მხრივ ითხოვდა ცვლილებას ეკლესიასთან დაკავშირებით.

ქვეყანაში შიმშილისა და სიდუხჭირის დასაძლევად 1922 წელს გამოიცა დეკრეტი, რომლის მიხედვით, ეკლესიის ქონებას ამოიღებდნენ და ეს ერთგვარი საშუალება იყო როგორმე ეკონომიკური სიდუხჭირე დაძლეულიყო, თან პირდაპირ უკვე კონფროტაციაში შედიოდნენ პროვოკაციულად სასულიერო პირებთან მიმართებაში. [96]

ამ დროიდან უკვე იწყება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით შეტევა ეკლესიაზე და სასულიერო წოდებებზე. საბჭოთა იმპერიაში ეკლესია გამოცხადდა კონტრევოლოციურ ძალად და მასზე ხორციელდებოდა თავდასხმები. ანტირელიგიური პროპაგანდაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტუდენტები და მასწავლებლები.

[96]ქ.პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). თბ.2008.გვ.442.

1923 წლის იანვარში ყველა თემაღმასკომს მისდის გორის მაზრის პარტიული კომიტეტის მოწერილობა ,,მიეღოთ ყოველივე ზომები“, რათა მიწის რეფორმის რევოლუციური წესით ჩატარების დროს არ მიეცათ მიწის ნორმა იმ პირებისათვის, რომლებიც ეწეოდნენ იმ ჟამად ეკლესიის სამსახურს. დირექტივაში განმარტებული იყო, რომ მიწის ნორმა მისცემოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ,,თუ აღნიშნული პირები სამუდამოდ თავს დაანებებდნენ ეკლესიის სამსახურს“[97].

გორის სამაზრო ეკლესიების ყველა მღვდელი სამაზრო აღმასკომში დაიბარესდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანება ხელისმოწერით გააცნეს, რომ ეკრძალებოდათ საეკლესიო წესების შესრულება. დაანგრიეს ეკლესიები, ხოლო ქონება დაურიგეს უღარიბეს ფენას, ეს ეხებოდა სხვა რელიგიური კონფესიებსაც. დაიწყო სასულიერო პირების რეპრესიები. გორის მაზრაში დახურეს ყველა ეკლესია და შეწყვიტეს ღვთისმსახურება. ყოფილი ეკლესიის შენობებში გახსნეს საწყობები, საჯინიბოები, თავლები, სხვადასხვა ,,კულტურული ობიექტები“. 1924 წელს ოფიციალური ცნობა იუწყებოდა: ,,სწარმოებს დირბში თეატრად გადაკეთება ეკლესიისა, სადაც მოწყობილია უკვე სცენა და ახლო მომავალში დამთავრებული იქნება სრულიად.[98]’’ანალოგიური ბედი ეწია კარალეთის წმ. გიორგის ეკლესიას[99] და სხვ.

გახშირდა ეკლესია-მონასტრების დახურვის ფაქტები. ისინი გადადიოდნენ სახელმწიფო საკუთრებაში, აღვივებდნენ ელესიის მსახურთა და მრევლს შორის დაპირისპირებას. ტაძრებიდან გამოჰქონდათ წმინდა ნაწილები და ადგილობრივი მუზეუმის საცავებში გადაჰქონდათ. იბეგრებოდა სამღვდელოება და იმ მდგომარეობამდე მიჰყავდათ, რომ საკუთარი ნებით დაეტოვებინათ ღვთის სამსახური, ინგრეოდა ტაძრები და მას საშენ მასალად იყენებდნენ, იძარცვებოდა ეკლესიები,

[97]გორის არქივი, ფონდი N3, არქ. N1, აღწ. 1. გვ.9, 1923 წელი.
[98]გორის არქივი. ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ.107.1924 წელი.
[99]გორის არქივი, ფონდი N3.არქ.66.აღწ.1. გვ.52.1924 წელი

სამღვდელო შესამოსლებისა და საეკლესიო ინვენტარისგან, დიდი სისასტიკით დევნინდნენ საეკლესიო პირებს.

სამღვდელოება ორ ნაწილად გაიყო: ერთნი ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიკებთან კომპრომისზე უნდა წასულიყვნენ, ხოლო მეორენი ისევ დაპირისპირებას და შეურიგებლობას უცხადებდნენ საბჭოთა მესვეურებს.

ეკლესია მალე დატოვეს ყოველგვარი ქონებისა და მამულების გარეშე. საეკლესიო მამულების შემდგომი განკარგვისთვის შეიქმნა საეკლესიო მამულების კომუნალური განყოფილება, რომელმაც განახორციელა 1921 წლის 17 ოქტომბერს ამ მიწებზე საჯარო ვაჭრობა. ეკლესიის ქონება უნდა გადასცემოდათ გლეხკომებს, გარდა იმნივთისა, რომელსაც ჰქონდა ისტორიული დატვირთვა. ყველა თემის აღმასკომს უნდა ეცნობებინა ცენტრისთვის, თუ სად იყო ჯერ კიდევ დარჩენილი მაზრაში დაუხურავი ეკლესია მათვე უნდა ეიძულებინათ სასულიერო პირები, რათა მიეტოვებინათ ღვთის მსახურება და მიწა დაემუშავებინათ, თუ ამას არ გააკეთებდნენ რეპრესიები განხორციელდებოდა მათზე.

XX საუკუნის 20 იან წლებში ბოლშევიკებმა საქართველოში 1000 მეტი ეკლესია დახურეს. შექმნა ე.წ. ,,უღმერთოთა კავშირი'' და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ რელიგიას და სასულიერო პირებს, რამაც აღაშფოთა საზოგადოებაც, ეკლესიის მსახურთა დევნამ ყოველგვარ ზღვარს გააჭარბა, რომ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

1923 წლის იანვრის დასაწყისში ყველა თემის აღმასკომის თავჯდომარეებს ეძლევათ მითითება, რომ მილიციის საშუალებით სამღვდელოებას გამოუცხადონ: ,,რომ მათ ნება არა აქვთ შეასრულონ ეკლესიური წესები მინამდე არ იქნება ჩაწერილი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების სააქტო წიგნში, შესრულება საეკლესიო წესისა შეიძლება მხოლოდ შემდეგ, როდესაც სამღვდელოებას წარედგინება სათანადო მოწმობა სამოქალაქო მთვარობისა და, რომ თვითნიერ ამისა

წესების შესრულება უკანონოა და სამღვდელოებაც ამას უნდა ერიდებოდეს, როგორც ისეთ მოქმედებას, რომელიც გამოიწვევს პასუხის გებას.[100]''

ამასთანავე, ყველა თემის აღმასკომს მიეცა მითითება სასულიერო პირების წინააღმდეგ,რომლის მიხედვით: ,,მიწის რევოლუციონური წესით ჩატარების დროს არ იქმნეს მიწის ნორმა მიცემული იმ პირებისთვის, რომელნიც ეწევიან ამ ჟამად ეკლესიის სამსახურს (მღვდლები, მთავრები, დიაკვნები და სხ.) მიწის ნორმა მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული პირნი სამუდამოთ დაანებებენ თავს ეკლესიის სამსახურს და შეუდგებიან მიწის დამუშავებას საკუთარი შრომით.[101]''

1923 წელსვე გორის სამაზრო აღმასკომმა ეკლესიების დახურვისა და სასულიერო პირთა დისკრედიტაციის მიზნით ,,ერთიანი ფრონტი" გახსნა.

მიწას მხოლოდ იმ პირებს აძლევდნენ, რომლებიც მღვდლობას თავს ანებებდნენ. 1923 დასაწყისშივე ყველა თემის აღმასკომს მისდის გორის მაზრის შინამმართველობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილის საიდუმლო ცირკულარი: ,,გავალებთ, მიღებისთანავე ამისა, გამოარკვიოთ და გვაცნობოთ ფრიად სასწრაფოდ, რომელ თემში და სოფლებში დარჩა კიდევ დაუხურავი ეკლესიები" [102].

1923 წლის 23 აგვისტოს გორის მაზრის თემაღმასკომს სოფ. ძეგვში მცხეთის მოლოზნებისათვის ჩამოურთმევია 6 დესეტინა მიწა და გადაუცია 26 კომლი ღარიბი გლეხისათვის, ვინაიდან ,,მცხეთის მოლოზნები თავისი შრომით არ ამუშავებდნენ მათთვის დატოვილ მამულებს და აძლევდნენ უღარიბეს გლეხებს ,,საღალოდ"[103].

ამგვარი ღონისძიებების შედეგად, მხოლოდ გორის მაზრაში, დაიხურა ყველა ეკლესია და ღვთისმსახურება შეწყდა: სურამის, ხაშურის, ხცისის, გომის, ატენის,

---

[100]გორის არქივი, ფონდი N3, არქ. N5, აღწ. 1.გვ. 4.1923 წელი.

[101]გორის არქივი, ფონდი N3, არქ.N5, აღწ 1. გვ. 9.1923 წელი.

[102]საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანიწლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 146.

[103]გორისარქივი, ფონდი # 3; არქ. 1, აღწ. 1,გვ. 4, 1923წ.

შინდისის თემის ყველა ეკლესიაში[104]. მხოლოდ კავთისხევის თემში დახურეს: ,,1.ქვათახევის მონასტერი მღვთის მშობელი. ქალთა მონასტერი (ლავრა) მღვთის მშობელი. 3. წინარეხის ეკლესია მღვთის მშობელი. 4. კავთისხევისა“ კავთის ეკლესია წმინდა გიორგი. 5. ლომისა წმინდა გიორგის ეკლესია. 6. იდლეთში სომხის ეკლესია. 7. ივანე ნათლის მცემლის ეკლესია (ჩივაანთ უბანი) 8. მთავარ ანგელოზის ეკლესია (ქვემო-ხანდაკი) 9. წმ, თევდორისა (თელად გორი) 10. ქვემო-ნიჩბისისა სომხის ეკლესია. 12 სასხიროს ეკლესია. 13. ერთი სომხის ეკლესია (ძეგვში) 14. ერთი ქართველ. ეკლესია (ძეგვში)“[105].

,,საკუთარი» განცხადებებით მიატოვეს ღვთისმსახურება იკოთის, არაშენდის, ქვემოხვითის, ტყვიავის, ძლევიჯვრის, ყელქცეულის, ქვემო ნიქოზის, ფხვენისის ეკლესიებში მოქმედმა სასულიერო პირებმა[106] და გლეხთა მრავალმილიონიან მასას შეუერთდნენ.

ხელისუფლება განსაკუთრებული დაუნდობლობით ებრძოდა მოსახლეობაში ავტორიტეტულ და ,,ურჩ“ სასულიერო პირებს, რომლებიც რეჟიმს დაუფარავად ამხელდნენ. გორის მაზრაში ასეთები იყვნენ, მოგვიანებით ქართული ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული ძმები კარბელაშვილები. მამა ვასილ კარბელაშვილი იოსებ სტალინის მასწავლებელი იყო სასულიერო სემინარიაში. როდესაც სტალინი საბჭოთა ხელისუფლების მაღალჩინოსანი გახდა, მამა ვასილმა იფიქრა, ძველი ნაცნობობა ,,გაჭრიდა“ და იოსებ სტალინს 1923 წლის 2 მაისს კრემლში წერილი მისწერა, სადაც მის წარმომავლობას ახსენებდა და მოუწოდებდა, თავისი გავლენა გამოეყენებინა და ეკლესიის დევნისათვის თავი დაენებებინა. მოძღვარი ყოფილ შეგირდს სწერდა: „დიდად პატივცემულო (ბატონო) სოსო! გაგიკვირდება ძველი მასწავლებლის მოგონება და ასეთი გრძელი წერილი, რომელმაც უნდა მოგაგონოს, რაც იყო, ჩაგაფიქროს, რაც

[104]საბჭოთახელისუფლებისანტირელიგიურიპოლიტიკაშიდაქართლში, გვ. 454-472.
[105]გორის არქივი. ფონდი N3. არქ.39. აღწ.1. გვ.24.1923 წელი.
[106]საბჭოთა ხელისუფლებისანტირელიგიურიპოლიტიკაშიდაქართლში, გვ. 456-464.

არის და გაგათვალისწინებინოს, რაც იქნება! ადრეც გითხარი და ახლაც გეტყვი: „ვაი, იმ ხალხს, რომელიც ისტორიას ანგარიშს არ უწევს“... სოსო! როგორი რწმენისაც გინდა იყო, მაინც ქართველი კაცი ხარ და საქართველოს მიწამ გამოგზარდა, სამშობლოსა და ერის სიყვარულს ვერარა დაშრეტს შენს გულში! კიდევ გთხოვ, რომ ეკლესიებისა და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ლმობიერება გამოიჩინონ. რას აძლევთ ერს, როდესაც უგინებთ სჯულს, სიწმინდეს და უსპობთ დიდებულ კულტურას, რითაც შეეძლო ქართველ ერს თავი მოეწონებინა კაცობრიობის წინაშე? ნუთუ მარტო მაგისთვის იბრძვი, რომ სომხები, ოსები და ურიები არ წამოასხათ კისერზედ ქართველ ხალხს? საზღვრები ჩააჭრეს საქართველოს ყველა მხრიდან და აღარ იციან, როგორ შეავიწროვონ ტერიტორია? იქნებ გწყინს, ჩემო სოსო? ბევრის მნახველს, მომთმენს და ცრემლის შემაშრობელს, იმედია, ყურად იღებ და მოალბობ ჩემს გულს და მალე სანუგეშოს მომწერ, რომ აღარ განმეორდება და ანუგეშებ შენს მოხუცებულ მასწავლებელს, რომელსაც ბევრად შესტკივა შენზე გული. პასუხს ველი“[107]. სამწუხაროდ, მიუხედავად მასწავლებლის თხოვნისა, სტალინს ამ წერილზე პასუხი არ მიუწერია.

არანაკლებ ტრაგიკულად განვითარდა ვასილ კარბელაშვილის დანარჩენი ძმების ბედი. 1924 წლის 6 აგვისტოს სოფელ მუხრანში, სხვა ეჭვმიტანილებთან ერთად დააპატიმრეს მღვდელი პეტრე კარბელაშვილი. მამა პეტრესთან ერთად დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ რამდენიმე სასულიერო პირი, მათ შორის, ქვემო ჭალის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი და სამთავისის ოლქის მთავარხუცესი მღვდელი გაბრიელ პარკაძე.

კომუნისტებმა დაპატიმრებულები გაიყვანეს ტირიფონის ველზე, მდ. ტორტლასთან და აცხადებდნენ, თითქოს სურდათ დაპატიმრებულების გორში

[107] ნათია უტიაშვილი. ,,რატომ იყვნენ ძმები კარბელაშვილები შავ სიაში შეყვანილები და როგორ დასაჯეს ისინი გარდაცვალების შემდეგ“, ჟურნ. ,,თბილისელები“, 12 თებერვალი 2012 წ. გვ. 16-17.

გადაყვანა, მაგრამ მოაწყვეს გაქცევის ინსცენირება და ცეცხლი გაუხსნეს. ადგილზე დაიღუპა 24 ადამიანი. როდესაც მეორე დილით ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა ადგილზე მივიდა შემზარავი სურათი იხილა. მათ გათხარეს საერთო საფლავი და წამებულები მიწას მიაბარეს.

საბჭოთა რეჟიმი არანაკლები სისასტიკით გაუსწორდა დანარჩენ კარბელაშვილებსაც. პოლიევქტოსი და ვასილი ,,შავ სიაში" იყვნენ შეყვანილნი, ხოლო მათი შვილები მოგვიანებით, 1937 წლების რეპრესიებს შეეწირნენ[108].

გაუქმებული ეკლესიის მრევლი ღიად გამოხატავდა აღშფოთებას ადგილზე მისულ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ჩადენილ ქმედებებზე, ამიტომ ცენტრი დროებით გარკვეულ დათმობაზე წავიდა და 1923 წელს აგვისტოში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ საგანგებო განცხადებით მიმართა თითოეული მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, რათა უარი ეთქვათ ძალადობრივ ქმედებებზე ეკლესიის მისამართით. განცხადებაში აღნიშნული იყო: ,,სახალხო კომისართა საბჭო განმარტავს, რომ წარმატებით ბრძოლა ჩამორჩენილ მასებიდ ცრუმორწმუნოებასთან შეიძ Ჭბა და კიდეც განხორციელებულ უნდა იქნეს მხოლოდ ხალხის ხანგრძლივი და ბეჯითი იდეური აღზრდით, რასაც უნდა ჰმეტაურობდნენ მშრომელთა მოწინავე წრეები თავისი პარტიული, პროფესიონალური, კულტურული და სხვა და სხვა შენაერთების მეშვეობით".[109]

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი აძლევდა დირექტივას თემის აღმასკომებს და ახსენებდასაქართველოს რევულუციური კომიტეტის მიერ 1921 წლის 16 აპრილს გამოცემულ დეკრეტს, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფას და და ,,შეახსენებდა": ,,რომ სარწმუნოება არის მოქალაქის პირადი საქმე. დეკრეტი რასაკვირველია ნებას არ აძლევს სარწმუნოებრივი წესის მიმდევართ დაარღვიონ

[108] იქვე.

[109]გ.სოსიაშვილი. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში. თბ.2013.გვ.9.

თვითდეკრეტი N-21 და აგრეთვე არსებული კანონები: ძალდატანება, შევიწროება, გადაბირება და სხვა მათ არ შეუძლით, მაგრამ ამასთან ერთად არც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ გამოცემა ადგილობრივი ხასიათის კანონებისა და დადგენილებისა, რომელიც ზღუდავს, ან შევიწროებას სინდისის თავისუფლებას.[110]''

ზემოთქმულის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ყოველდღიურად შედიოდა შეტყობინება ადგილზე ძალადობრივი ფაქტების გამოვლინების შესახებ. ზოგიერთი მათგანი ადგილზე იმდენად გაუტაცია, ბოლშევიზმისადმი სიყვარულსა და ერთგულებას, რომ ცენტრიც კი ,,შეშფოთებულა". საქართველოს კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი გრიფით ,,სრულიად საიდუმლოდ" გორის თემაღმასკომს უგზავნის დეპეშას: ,,როგორც შემოსული ცნობებიდან ჩანს, გორის საკანდიტროებში დაუცხვიათ პასკები და ზედ ჯვრის მაგივრად გაუკეთებიათ ნამგალი და ჩაქუჩი ...სასწრაფოდ მიიღეთ ზომები"[111]. ამასთან, ცენტრს ინფორმაცია ჰქონდა, რომ სამაზრო და მისი ქვემდებარე რევკომები ძალით ართმევდნენ ეკლესიებს საეკლესიო ბეჭდებს, ამიტომ ყველა სამაზრო რევკომს მიეცა შემდეგი დირექტივა: ,,მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია სრულიად გამოყოფილია სახელმწიფოდან და მის შინაურ საქმეებში, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, რევკომები არ უნდა ერეოდენ, თუ სამღვდელოების საქმიანობას ბოროტ-მოქმედების ხასიათი არ ექნება.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ გასცეთ სასტიკი ბრძანება, რათა ჩამორთმეული ბეჭდები დაუყონებლივ დაუბრუნდეთ კუთვნილებისამებრ, და შემდეგში ასეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს"[112].

სასულიერო პირების დისკრედიტაციის მიზნით საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონდა დასახული ორი გზა, პირველი: მოეხდინათ დიდი ფსიქოლოგიური გავლენა

---

[110]გორის არქივი. ფონდი N3, არქ. N9. აღწ.1. გვ. 38. 1922 წელი.
[111]ს. ალიმბარაშვილი. ტინისხიდის ისტორია, გვ. 43.
[112]გორის არქივი. ფონდი N3, არქ. N6, აღწ.1, გვ.14. 1922 წელი.

სასულიერო პირებზე, რათა მათ უარი თავისი ნებით ეთქვათ ღვთისმსახურებაზე, ხოლო მეორე გზა იყო: მღვდლების მიმართ ძალის გამოყენება, რაც გამოიხატებოდა შემდეგში, ბოლშევიკი აქტივისტები, ვინც ასრულება საბჭოთა პროპაგანდას ძალით იჭერდნენ და კრეჭდნენ სასულიერო პირებს, რათა ეკლესიას ჩამოშორებულიყვნენ, მათი ეს ქმედებები არ ხორციელდებოდა მაგალითად მხოლოდ რიგით სასულიერო პირებზე, ბოლშევიკებმა დააპატიმრეს კათოლიკის პატრიარქიც.

ბოლშევიკური ხელისუფლება დაუნდობლად ებრძოდა არამარტო ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, არამედ სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებს, მთავრობის გადაწყვეტილებით გააუქმეს ებრაული სინაგოგა ტერორი იყო იყო მასშტაბური და შეეხებოდა ყველა არსებულ რელიგიას.

გორში კათოლიკური ეკლესიის არსებობა საკმაოდ შორეულ წარსულს უკავშირდება, ჯერ კიდევ გორში კათოლიკე მისიონერები მოვიდნენ XV საუკუნეში და აქ დამკვიდრებულან. კათოლიკე მისიონერების, ავგუსტიანელების გამოჩენა გორში დაიწყო XVII საუკუნის 20-იან წლებში.

გორში საბჭოთა ხელისუფლებამ 1923 წელს დახურა კათოლიკური ეკლესია[113] და მიზეზად დაასახელეს, რომ კათოლიკეთა სალოცავში იყო იყო ანტისანიტარია და მრევლიც მცირერიცხოვანი იყო. კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი კონსტანტინე საფარაშვილი ბოლშევიკებისთვის მიჩნეული ყოფილა საბჭოთა იდეოლოგიის მოწინააღმდეგედ და მასზე მიდიოდა ზეწოლა, რათა ქვეყნიდან გაეძევებინათ.

1923 წლიდან ბოლშევიკური მთავრობა გარკვეულწილად მიდიოდა მცირე დათმობებზე., რადგან თითქმის საქართველოს ყველა მხრიდან იგზავნებოდა მორწმუნე ადამიანის წერილები, რომ სამლოცველოები გაეხსნათ. სხვადასხვა აღმსარებლობის

[113]გ.სოსიაშვილი.კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში(უცნობი დოკუმენტების მიხედვით) აკად.. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისდამი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოხსენებათა თეზისები,თბ.2012.გვ.80.

ადამიანებს უფლება მიეცათ, რომ დაეფუძნათ რელიგიური საზოგადოებები. გორში მცხოვრებმა კათოლიკე მორწმუნეებმა მიმართეს გორის მაზრის აღმასკომს, რომ მათთვის დაებრუნებინათ ის საეკლესიო ნივთები, რაც ჩამოართვეს ბოლშევიკებმა.[114]

მორწმუნეებს, რომ რეგისტრაციაში გაეტარებინათ რელიგიური საზოგადოება, მასში უნდა არ უნდა ყოფილიყო 50 კაცზე ნაკლები და მრევლი უნდა ყოფილიყო 18 წელზე ზემოთ. კათოლიკეებს რელიგიურ საზოგადოებაში ყავდათ 150 მორწმუნე, საბჭოთა მთავრობამ მიიღო რეგისტრაცია და მათ გამოუყვეს წირვის ჩასატარებელი შენობა და გადასცეს წართმეული ქონებაც.[115]

ბოლშევიკებმა დახურეს გორში სომეხი გრიგორიანელების სალოცავი 1923 წელს და სომხებმა ამის გამო მიმართეს ადგილობრივ მთავრობას მისი გაღების თაობაზე და ასევე მათი კუთვნილი ნივთების დაბრუნების თაობაზე და გრიგორიანული რელიგიური საზოგადოების შემდეგ, როდესავ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ დაუბრუნეს სომხებს 1924 წელს ქონება და შენობაც გამოუყეს ღვთისმსახურებისათვის ანალოგიური იყო ებრაელების მიმართაც, როდესაც მათ დაარსეს რელიგიური საზოგადოება, საბჭოთა ხელისეფლებამ გადასცა შენობა ღვთისმსახურებისთვის.

5.2. საეკლესიო ქონებისა და სიწმინდეების საკითხი

მართლმადიდებლური ეკლესიის დევნამ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, საფრთხე შეუქმნა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და ეკლესიებში დაცულ ძვირფას საუნჯეს, რომლებიც ხშრად უვარდებოდათ ბოლშევიკებს ხელში, მდგომარეობიდან ერთგვარი გამოსავალი იყო ,,სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტის“ შექმნა, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ცნობილი

[114] იქვე, გვ. 21
[115] იქვე. გვ.22

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჯანაშია, რომლის ძალისხმევით არაერთი მატერიალური და კულტურული ძაგლი გადაურჩა დანგრევას და სიწმინდე - გაძარცვას. აღნიშნულმა კომიტეტმა გაუგზავნა მაზრებს სპეციალური მიმართვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეკლესიის დევნას არ უნდა შესწირვოდა კულტურული და განსაკუთრებული ხელოვნების ნიმუშები.[116]

1923 წ. 27 ოქტომბერს სიმონ ჯანაშია და გორის სამაზრო აღმასკომის რწმუნებული არტაშ მარუტოვი ადგენენ აქტს ამ უკანასკნელის მიერ სიძველეთა კომიტეტისადმი გორის მაზრის ეკლესიებში ამოღებული სიწმინდეების გადაცემის თაობაზე. ,,ჩვენ ქვემორე ამაზედ ხელის მომწერელნი ერთის მხრივ საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებული სიმონ ჯანაშია და მეორეს მხრით, გორის სამაზრო აღმასკომის რწმუნებულ არტაშ მარუტოვი ვადგენთ ამ აქტს შემდეგზე: I) თანახმად საქართველოს ხელოვნებისა და სიძველეთა ძეგლთა დაცვის კომიტეტის მოწერილობისა ამა წლის 13 ოქტომბრიდან N340/I8949 მე აღმასკომის რწმუნებულმა ა. მარუტოვმა ჩაგაბარეთ თქვენ კომიტეტის რწმუნებულს ს.ჯანაშიას გორის ხაზინაში დაცულ ისტორიულ მნიშვნელობის საუკლესიო ნივთები ხსენებულ კომიტეტისათვის გადასაცემად 2) ხსენებულ ნივთებს შეუყენეთ სათანადო სია, რაზედაც ხელს ვაწერთ.

სია საისტორიო-სამეცნიერო ღირებულების ნივთებისა, რომლებიც გადაეცა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულ სიმონ ჯანაშიას თანახმად აქტისა.

ნივთის დასახელება: 1. ღვთისმშობლის ხატი -ქვათახევის მონასტრისა 2,წმ თევდორეს ვერცხლი. ხატი-ახალქალაქის წმ თევდორეს ეკლესია 3.ღვთისმშობლის ხატი ქართ.წარწ. 4 ფიცარი ნაწილებიანი, ჩხეიძეების წარწერით 5 ღვთისმშობლის ხატი

---

[116] გ.სოსიაშვილი.საბჭოთა ხელისფულების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში.თბ.2013.გვ.9

6.დუგმები ქალის სარტყელისა- იტრიის ეკლესია 7. წმ ნიკოლოზის დიდი ხატი.ვერცხლი. 8.წმ ნიკოლოზის პატარა ხატი.9.ჩვილი ღვთისმშობლის ხატი პატარა. 10.ვერცხლის მოჭედილი ნაწილებიანი ფიცარი-ქარელის ღვთისმშობლის ეკლესია. 11.ნაწილებიანი ფიცარი ვერცხლით მოჭედილი 12. მიქაელ მთავარანგელოზის ვერცხლის ხატი 13.მაცხოვრის დიდი ხატი, ვერცხლი 14. ჩვილი ღვთისმშობლის ხატი, ვერცხლი 15. ვერცხლის ჯვარი დიდი ზომისა 16. პატარა ვერცხლის ჯვარი 17მაცხოვრის დიდი ზომის ხატი,ვერცხლი 18 წმ. გიორგის ხატი, ვერცხლი19. წმ. საბას ხატი ვერცხლზე ნაჭედი. 20. ხის მკლავი ვერცხლი გადაკრული. 21 ხატზე აცრილი ვერცხლი. 22ჯვარზე აცლილი ვერცხლი. დირბის თემიდან 23 ფეხშუმი ვერცხლისა რუს. წარწერა 24ბარძიმი ვერცხლისა, ბატონიშვილი სვიმ. წარწ. 25. ჯვარი ვერცხლისა არქიმანდრიტი ტარასის-ქვათახევის მონასტერი 26. ქართული სახარება ტყავზე ნაწერი-დირბის ეკლესიიდან 27 ორი სომხ. ხელნაწერი სახარება-გორის ეკლესია. აქვეა ჩამბარებლის ხელმოწერა არტას მარუტოვის და მიმღების სიმონ ჯანაშიასი“[117].

1923 წელს გორში მთავრობის დადგენილების შემდეგ დაფუძნდა მართლმადიდებლური რელიგიური საზოგადოება და ამავე წლის ბოლოს ჩაატარეს მორწმუნეებმა რელიგიური საზოგადოების კრება, სადაც შეიმუშავეს საზოგადოების წესდება და აირჩიეს სამრევლო საბჭოს წევრები. კრებას ესწრებოდა გორის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი. გორის საკათედრო ღვთაების და ოქონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძართა რელიგიურ საზოგადოებაში სულ იყო გაწევრიანებული 355 მორწმუნე. სამრევლო საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს დეკანოზი ანტონ კასრაძე. გორელ მორწმუნეებს ადგილობრივმა აღმასკომმა დაუბრუნა საეკლესიო ნივთები, ასეთი რელიგიური საზოგადოებები სხვაც დაფუძნდა გორის მაზრაში სხვადასხვა სოფლებში და დასახლებულ პუნქტებში.[118]

[117] გორის არქივი.ფონდი N3 არქ 27. აღწ. 2. გვ. 45, 1923 წელი.

[118]გ.სოსიაშვილი. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში. გვ.16.

საეკლესიო სიწმინდეების გადარჩენის საკითხი ხშირად კონკრეტულ პირთა უშუალო პასუხისმგებლობაზე გადადიოდა, რაც, არცთუ იშვიათად სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი მათგანი გორში გახლდათ ბატონი სერგი მაკალათია, რომელიც იმ დროისათვის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე იყო დანიშნული.

ზოგადად, კეთილი და დამყოლი ბუნების მქონე ბატონი სერგი, პრინციპული და მომთხოვნიიყო, როდესაც საქმესამუზეუმოექსპონატებისდაცვა-გაფრთხილებასა და სამეცნიერო მუშაობას შეეხებოდა. ამმხრივ, იგი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან დაპირისპირებასაც არ ერიდებოდა, სანამ მიზანს არ მიაღწევდა. მაგ., იგი მუზეუმის ერთ-ერთ თანამშრომელს საყვედურს უცხადებს იმის გამო, რომ გორის ოქონის ეკლესიიდან გადმოცემული ნივთები, გაფრთხილების მიუხედავად, ანტირელიგიური მუზეუმის წევრებისათვის გადაუცია და ავალებს აღნიშნული კოლექციის უკანდაბრუნებას. ბატონი სერგი, პრევენციი მიზნით, იძულებული გამხდარა შიდაგანკარგულება გამოეცა მუზეუმის თანამშრომლებისათვის: ,,ჩემს ნებადაურთველად აიკრძალოს მუზეუმიდანკოლექციების, წიგნების, ფოტო-სურათებისადასხვასამუზეუმოხასიათისნივთებისგაცემა. ამასთანავე წესად იქმნას შემოღებული, რომ კოლექციისა და ნივთების დროებითი წაღების დროს, წამღებმა უნდა ამის შესახებ შემოიტანოს წერილობითი განცხადება“ . რას ნიშნავდა იმდროისათვის ანტირელიგიური კომიტეტისადმი წინააღმდეგობა, ვფიქრობთ, ზედმეტი ახსნა-განმარტებები არ სჭირდება.

მოგვიანებით, სერგი მაკალათია თბილისის ანტირელიგიური მუზეუმისდი რექტორს სწერს: ,,გორის ოქონის ტაძრიდან თქვენი ყოფილი თანამშრომლის გ. წივწივაძის მიერ წამოღებული იქმნა საეკლესიო ნივთები, რომელიც სათანადო აქტით გადაცემული იყო გორის მუზეუმზე. ამის შესახებ გორის მუზეუმმა აღძრა საჩივარი და ანტირელიგიურმა კომიტეტმა გორის მუზეუმს დაუბრუნა მხოლოდ მისი ერთი

ნაწილი. დარჩა შემდეგი ნივთები: 1) სახარება ვერცხლის ყდით შემოსილი; 2) ღვთისმშობლისხატი 2 ც. და 3) კურთხევანი - ხუცური ხელნაწერი.

გთხოვთ აღნიშნულინივთებიდაუბრუნოთგორისმუზეუმს" (ნივთები მოგვიანებით მართლაც დაუბრუნდა მუზეუმს)[119].

საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველი დღეებიდანვე აქტიურად მიმდინარეობდა ანტირელიგიური პროპაგანდა, რასაც მოჰყვა სხვადასხვა აღმსარებლობის მოსახლეობის სამლოცველოების დახურვის ფაქტი ფაქტები. ამავე დროს საფრთხე ექმნებოდა ეკლესიის ქონებასაც, სადაც ინახებოდა ისტორიული და რელიგიური შინაარსის მქონე სიწმინდეები. გამოსავლის მიზნით, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ,,ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი~, რომელშიც შევიდა რამდენიმე უწყების წარმომადგენელი, მათ შორის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი ლ. კანდელაკი და იუსტიციის საქმეთა სახალხო კომისარი ვ. ვარძიელი. აღნიშნულმა კომიტეტმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა მაზრების აღმსრულებელ კომიტეტეტებს და ავტონომიური ერთეულების ხელმძღვანელებს. მიმართვიდან ჩანს, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა საქართველოში არსებული სიძველეთა მიმართ, რათა ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას ისტორიის და ხელოვნების ძეგლები არ შეწირვოდა. ამისთვის კომიტეტმა ტაძრები რამდენიმე კატეგორიად დაჰყო. დოკუმენტში ვკითხულობთ: ,,რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრებო ძეგლი დაყოფილია სამ კატეგორიად: ა) ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან მაგრამ წარწერებით, არქიტექტურულ ფორმებით, თუ სხვა რითმე მაინც დიდ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენენენ; ბ) ძეგლები- განძეულობითურთ, რომელნიც ურყევად

[119] იოსებ ალიმბარაშვილი. 85 წლის გზასაყარზე (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიიდან), თბ., 2020, გვ. 21-22.

დგანან და სადაც წარმოებს ან და უკანასკნელამდე წარმოებდა ღვდელ მსახურება: გ) ძეგლები, რომელნიც თავის თავად არავითარ სახუროთმოძღვრებო ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ დღემდე შემცველი არიან ძვირფას განძეულობითა.”[120]

ეკლესიებში დაცული ქონება საბჭოთა რეჟიმმა ასევე რამდენიმე ნაწილად დაჰყო. ,,ა) ჭედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვა. ბ) ქსოვით ხელოვნების ნივთები. გ) სხვა და სხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები.[121]

აღნიშნული კუთხით, ხელისუფლების მიერ შედარებით დადებით ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ,,საისტორიო მუზეუმების შექმნა“, რომელიც უნდა გახსნილიყო ზემოთ ხსენებულ მეორე კატეგორიის ტაძრებში, ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. მესამე კატეგორიის ძეგლებიდან გამოტანილი ნივთები დროებით გადატანილი უნდა ყოფილიყო მეორე კატეგორიის ეკლესიებში, რაც ცეცხლის და სხვა სახის საფრთხეებისგან დაიცავდა აღნიშნულ ნივთებს. სიძველეთა აღნუსხვა-შენახვის მიზნით დაგეგმილი იყო ორი სახის ღონისძიება. პირველი, როდესაც აღმასკომების წარმომადგენელთა და სპეციალისტთა მიერ მოხდებოდა საეკლესიო ნივთების აღნუსხვა მეორე, როდესაც დაარსდებოდა მუზეუმები და აქ იქნებოდა გადატანილი ნივთები მუზეუმებად, სათანადო შესწავლის შემდეგ უნდა გადაკეთებულიყო მეორე კატეგორიის ძეგლები ვიდრე საგანგებო კომისიები საეკლესიო ნივთებს შეისწავლიდნენ, ნივთების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ადგილობრივ აღმასკომების წარმომადგენლებს. აღნუსხული ნივთების აქტი უნდა გაგზავნილიყო განათლების სახალხო კომისარიატში, რომელიც გადასცემდა ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტს. აღნიშნულმა კომიტეტმა შიდა ქართლში არსებული ეკლესია მონასტრების და ქრისტიანულ სალოცავებში დაცული საეკლესიო ნივთების შესასწავლად რწმუნებულად ცნობილი

---

[120] გ.სოსიაშვილი. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში. თბ.2013.გვ.9-10

[121] იქვე. გვ.10

მეცნიერი სიმონ ჯანაშია მოავლინა. თავდაპირველად კომიტეტმა მეცნიერ-ექსპერტად აკაკი შანიძე გამოყო და მას სიმონ ჯანაშია კონსულტანტად დაუნიშნა, ხოლო შემდეგ კომიტეტის რწმუნებულად შიდა ქართლში მხოლოდ სიმონ ჯანაშია დაინიშნა.[122]

სიმონ ჯანაშია აქტიურად შეუდგა დაკისრებულ მოვალეობას. იგი ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს მიმართვას უგზავნის, სადაც დადასტურებულია ისტორიული ტაძრების მნიშვნელობა (მათ შორის, ატენის, ქვათახევის, რუისის, ურბნისის, სამთავისის და სხვ.) და იქ დაცული ქონების თაობაზე მოვლა პატრონობის რეკომენდაციები მიაწოდა. სპეციალური განკარგულებით გორის აღმასკომისგან სიმონ ჯანაშიამ ჩაიბარა სხვადასხვა ისტორიული ღირებულების საეკლესიო ნივთები, რომლებიც სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. 1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო: 1 დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება გადადიოდა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში. 2. ამ ქონებიდან ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ დაცული იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებაში. 3, დანარჩენი საეკლესიო განძეულობა შეიძლება გამოყენეულ იქნას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გლეხების საჭიროებისთვის.[123]

[122] გ.სოსიაშვილი. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში. გვ.10-11
[123] იქვე, გვ. 11

დასკვნა

1921 წლის 25 თებერვალს რუსულმა საბჭოთა ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია ქართველი ხალხის სუვერენული უფლება და ჩვენი ქვეყნის ძალდატანებითი ოკუპაცია მოახდინა.

სამაგისტრო ნაშრომი გორის მაზრასა და იქ მიმდინარე პროცესებს ასახავს 1921-1927, ანუ, ე. წ. ,,ნეპის“ წლებში. ნაშრომი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა შიდა ქართლის XX საუკუნის 20-იანი წლების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ.

ოკუპაციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ბოლშევიკური ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით დევნიდა სასულიერო პირებს მთელ ქვეყანაში და, მათ შორის, გორის მაზრაშიც. დევნა შეეხო რელიგიურ უმცირესობებსაც, რამაც შეიწირა უამრავი მათგანის სიცოცხლე, დაინგრა ტაძრები, ან გადაკეთდა დამხმარე ნაკეთობებად (თავლებად, საწყობებად, სპორტულ დარბაზებად და ა. შ.), გაუქმდა ეპარქიები. ხელისუფლების წაქეზებით მოსახლეობამ დაიწყო რეჟიმისათვის მიუღებელი პირების დასმენა. გორში, სადაც ოდითგანვე ეკლესია-მონასტრების სიმრავლით გამოირჩეოდა, საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველივე წლებში ერთი მოქმედი ეკლესია აღარ დარჩა.

ეს პერიოდი საქართველოსთვის იყო ბნელი ხანა, რომელმაც რამდენიმე ათწლეული გასტანა და ქართული ცნობიერება და მენტალიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია. ქვეყანა ასცდა თავის განვითარების ბუნებრივ გზას. ანექსიამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას არჩეული ჰქონდა გზა ევროპისა და პროგრესისაკენ, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ დიდი დროით მოსწყდა მას, ბოლშევიკური რეჟიმის ბრჭყალებში მოექცა და მნიშვნელოვანი სტაგნაცია და რეგრესი გამოიწვია, ქონება ჩამოართვეს, არა მარტო თავად-აზნაურობასა და სასულიერო ფენას,

არამედ, შეძლებულ გლეხებსაც და დაიწყეს მათი განკულაკება. ადგილებზე შეიქმნა თემების აღმასკომები, რომელთა მითითებითაც იდევნებოდნენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები.

უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა: სასულიერო წოდება, თავად-აზნაურობა, ინტელიგენცია, წვრილი ბურჟუაზია, შეძლებული გლეხობა. დაიწყო მასობრივი რეპრესიები.

ძალადობას თან სდევდა ცინიზმი და შეურაცხყოფა. განსაკუთრებით, სასულიერო პირების, თავად-აზნაურობის, ასევე ინტელგენციის წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ.

რამდენადაც, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია აღნიშნულ პერიოდს კლასობრივ და რეჟიმისათვის საჭირო იდეოლოგიურ ჭრილში განიხილავდა, ამავე პრინციპით იყო შედგენილი სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები, მოსახლეობას, და, მით უფრო, ახალგაზრდობას, არაობიექტური და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ პერიოდის ისტორიაზე, ამიტომ საკითხის ხელახალი შესწავლა აქტუალური და მნიშვნელოვანია.

მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (09.04.1991 წ.), შესაძლებელი გახდა საბჭოთა პერიოდის ობიექტური შესწავლა და, არაერთი ნაშრომიც მიეძღვნა მას, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსამზეურებელია ასეულობით საარქივო დოკუმენტი, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის იმ პერიოდში შიდა ქართლში შექმნილ რეალურ მდგომარეობაზე. ჩვენ შევეცადეთ ამ ხარვეზის შევსებას და ნაშრომის ძირითადი ნაწილი სწორედ საქართველოს ეროვნული არქივის გორის არქივში დაცულ და დღემდე გამოუქვეყნებელ საბუთებს ეყრდნობა.

პირველ თავში, რომელიც თავის მხრივ ორ ქვეთავს მოიცავს, განხილულია ქართული არმიის უკანდახევის პროცესი, მეთერთმეტე წითელი არმიის შემოსვლა გორის მიდამოებში და ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა მათი მისამართით.

მოყვანილია ფაქტები საბჭოთა ჯარისკაცების მოროდიორობის შესახებ. ძველი სახელისუფლო ორგანოების რეორგანიზაციისა და ახლით ჩანაცვლების პროცესი, საბჭოთა ხელისუფლების მართვის მეთოდები და მექანიზმები. მათი დამოკიდებულება ყოფილი თავადაზნაურობის, სასულიერო წოდების, ინტელიგენციის, ბურჟუაზიის მიმართ. მიწისა და უძრავი ქონების ექსპროპრიაციის პროცესი. იდეოლოგიური კამპანიის დაწყება და მორალური და ფსიქოლოგიური ვითარება მოსახლეობაში.

მეორე თავში შევეცადეთ მკითხველისათვის დაგვენახვებინა საბჭოთა რეჟიმის ტოტალური და ძალადობრივი ხასიათი, რომელიც მალევე გახდა ცხადი, არა მარტო ყოფილი თავად-აზნაურობისა და სასულიერო ფენისათვის, არამედ ინტელიგენციის, გამრჯე და ეკონომიკურად შეძლებული გლეხობისათვის, რომელიც ,,მიწის რეფორმით“ სინამდვილეში მოტყუებული აღმოჩნდა. იგი მისთვის ხელისუფლების მიერ გადაცემული მიწის მხოლოდ დროებითი მესაკუთრე გახდა, რადგან არ შეეძლო მისი გასხვისება, გაყიდვა, მემკვიდრეობით გადაცემა, მასზე საკუთარი ინიციატივისა და სიახლეების დანერგვა.

ნაშრომის მეორე თავში თანმიმდევრულად გვაქვს აღწერილი საქართველოში დარჩენილი ეროვნული მიმართულების პარტიების (სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და სხვ.) კონსპირაციულ ქმედებებზე გადასვლა, მათ მიერ ფარული შეხვედრების ჩატარება და ემიგრაციულ მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხი. თუმცა, ხელისუფლება მარტივად ახერხებდა მათ გამოვლენას შეგზავნილი პროვოკატორებისა და დამსმენების საშუალებით.

მესამე თავში საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკაა შესწავლილი სოფლად, რომელსაც რეჟიმისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მოსახლეობის 82% სოფლად ცხოვრობდა. ამ თავშიც არაერთი საარქივო დოკუმენტია

შესწავლილი და გაანალიზებული, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში, მათ შორის ძველი მემამულეების და საზოგადოებისათვის ცნობილი პირების ქონების ექსპროპრიაციის, ძველ მემამულეთათვის საცხოვრებელი და საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევის და ა. შ.

მეოთხე თავში შესწავლილია მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება, ხელისუფლების იდეოლოგია საგანმანათლებლო სექტორში ,,ახალი ადამიანის" ფორმირების მიზნით. გამორკვეულია ხელისუფლების ნამდვილი მიზანი დაწყებითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნის მიზნით.

ბოლო მეხუთე თავში განხილულია საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა გორის მაზრაში, რომელიც, თავის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე უხეშ და ძალადობრივ ხასიათს ატარებდა. ეს გამოიხატა მაზრის ტერიტორიაზე არაერთი ეკლესიის დახურვით, სასულიერო წოდების გლეხებად ,,გარდაქმნის", ან ფიზიკური ლიკვიდაციის და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომი ,,გორის მაზრა 1921-1927 წლებში" ვფიქრობთ, რომ აქტუალურია, შეიცავს მნიშვნელოვან სიახლეს და სხვაგვარადაა შეფასებული ეპოქის არაერთი საკითხი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ა) საარქივო წყაროები

საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი,
ფონდი N3, არქ. N9. აღწ.1.
ფონდი N3, არქ. N1, აღწ. 1. გვ. 154, 1921 წელი.
ფონდი N3, არქ2. აღწ1. გვერდი 2, 1921 წელი.
ფონდი # 1; საქმე # 127, აღწ. 1,გვ. 115, 1921წ.
ფონდი # 1; საქმე # 93, აღწ. 1, გვ. 88-89, 1921წ.
ფონდი # 1; საქმე # 93, აღწ. 1,გვ. 89, 1921წ.
ფონდი # 1; საქმე # 127, აღწ. 1,გვ. 81, 1921წ.
ფონდი N3, არქ. N9. აღწ.1. გვ. 38. 1922 წელი.
ფონდი N3, არქ. N6, აღწ.1, გვ.14. 1922 წელი.
ფონდი N3 არქ 11. აღწერა 2. გვ. 29. 1922 წელი.
ფონდი # 1; საქმე # 12, აღწ. 1,გვ. 92, 1922 წ.
ფონდი # 1; საქმე # 12, აღწ. 1,გვ. 83, 1922 წ.
ფონდი # 3; არქ. 1, აღწ. 1,გვ. 113, 1922წ.
ფონდი N3, არქ. N1, აღწ. 1. გვ.9, 1923 წელი.
ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 84, 1923 წ
ფონდი N3.არქ.12.აღწ.1. გვ. 113.1923 წელი.
ფონდი N3, არქ2. აღწ2. გვერდი 3,4 1923 წელი.
ფონდი 3.არქ 42.აღწერა1.გვერდი169.1923 წელი.
ფონდი 3.არქ.42.აღწერა1.გვ.170.1923
ფონდი N3. არქ.25. აღწ.1. გვ.7. 1923 წელი.
ფონდი N3. არქ.56. აღწ.1.
ფონდი N3. არქ.25. აღწ.1. გვ. 9.1923 წელი.
ფონდი N3. არქ.25. აღწ.1. გვ. 12, 1923 წელი.
ფონდი N3, არქ. N1, აღწ. 1. გვ.9, 1923 წელი.
ფონდი# 3; საქმე # 38, გვ. 50, 1923 წ.
ფონდი N3, არქ. N5, აღწ. 1.გვ. 4.1923 წელი.
ფონდი # 3; არქ. 1, აღწ. 1,გვ. 4, 1923წ.
ფონდი N3. არქ.39. აღწ.1. გვ.24.1923 წელი.
ფონდი N3 არქ 27. აღწ. 2. გვ. 45, 1923 წელი.
ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 84, 1923 წ.
ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 58. 1923 წ.
ფ. 3, ანაწ. 1, საარქ. 3, დოკ. 84. 1923 წ.
ფონდი # 3; აღწ. # 1; საქმე # 26; გვ. 119, 1923 წ.
ფონდი # 3; აღწ. # 1; საქმე # 26; გვ. 119, 1923 წ.
ფონდი 226, შეს. ერთ. 31, საარქივო # 51, გვ. 20. 1923 წ.
ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. 15. 1923 წ.

ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. 17. 1923 წ.
ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. 19-20. 1923 წ.
ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. გვ. 23. 1923 წ.
ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1; გვ. გვ. 23. 1923 წ.
ფონდი # 3, არქ. # 675, აღწ. # 1, გვ. 27. 1923 წ.
ფონდი # 4, აღწ. # 1; საქმე - 423; გვ. 6 1923 წ.
ფონდი # 4, აღწ. # 1; საქმე - 423; გვ. 9. 1923.
ფონდი # 4; ანაწ. 1, საქმე # 185. 1923 წ.
ფონდი 3.არქ.42.აღწერა1.გვ.170.1923 წელი.
ფონდი N3. არქ.56. აღწ.1. გვ.31.1924 წელი.
ფონდი N3. არქ.56. აღწ.1. გვ.31.1924 წელი.
ფონდი N3.არქ.66.აღწ.1. გვ.52.1924 წელი,
ფონდი N3. არქ.83. აღწ. 1. გვ.1. 1924 წელი.
ფონდი N3, საქმე N 92, გვ.60; საქმე N81, გვ.1, 1924 წ.
ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ.4.1924 წელი.
ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ. 5.1924 წელი.
ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ. 6.1924 წელი.
ფონდი# 3; არქ. # 71; აღწ. # 1, დოკ. 114 გვ. 91 1925 წ.
ფონდი N3.არქ.97.აღწ.1. გვ.107.1924 წელი.
ფონდი N3.არქ.66.აღწ.1. გვ.52.1924 წელი.
ფონდი N3.არქ.202.აღწ.1. გვ.5.1925 წელი.
ფონდი # 3; არქ. # 17; აღწ. # 1; გვ. 98.1925წ.
ფონდი # 1; საქმე # 162, აღწ. 1,გვ. 23, 1925წ.
ფონდი # 1; საქმე # 12, აღწ. 1,გვ. 92, 1922 წ.
ფონდი N3 არქ. 377.აღწერა 1.გვ.3. 1926 წელი
გორის არქივი, Материалы Горийской уездной нелегальный меншевитской организации за 1921-1924 гг.ფ. 226, ანაწ. 1, საარქ. 10, გვ. 7, 1923

ბ) ლიტერატურა

1. ალიმბარაშვილი იოსებ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები გორის მაზრაში, *საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავისადმი,* 25,02,2021, ონლაინ https://sangu.edu.ge/ka/article/100-tseli-sakartvelos-okupatsiid-1.
2. ალიმბარაშვილი იოსებ. 85 წლის გზასაყარზე (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიიდან), თბ., 2020.
3. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ტინისხიდის ისტორია, გორი 2005.
4. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო), ხიდისთავის ისტორია (ხელნაწერი).
5. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო),,,ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან", თბ., 2012.
6. ალიმბარაშვილი იოსებ, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიიდან (ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი), გორი, 2018.

7. არაბიძე ირ. ,,განახლების მოძრაობა“ საქართველოში მე-20 ს. 20-23-იან წლებში, თბ., 2005.
8. ბენდიანაშვილი და სხვ. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ.,2000.
9. ბენდიანიშვილი ალექსანდრე, დაუშვილი ალექსანდრე, ნათმელაძე მაყვალა. საქართველოს ისორია XIX-XX საუკუნეებში: ტომი IV. თბ.,2012.
10. საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად, ტ. 4, თბ., 2012, გვ. 292.
11. ბენიძე ვალერი. 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991.
12. გარსევანიშვილი ელისაბედ. ამილახვრების ბედი, გაზ. ,,გორი“, 05 თებერვალი 1999, # 3, გვ. 3
13. გერსამია სერგი. სამთავისის კომუნა (ისტორია, პრაქტიკა), ტფ., 1926.
14. დაუშვილი ალექსანდრე. კოლექტივიზაცია საქართველოში, წიგნი 1, თბ., 2020.
15. დაუშვილი ალ., 1924 წლის აჯანყება და კრემლის პოზიცია, წიგნში: ნათმელიძე ნ., დაუშვილი ა., ჯაფარიძე მ. ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი მე-20 ს. 20-იან წლებში, თბ., 2008.
16. ზალდასტანიშვილი სოლომონ, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989.
17. მაზნიაშვილი გიორგი, `მოგონებანი~ 1917-1925, გიორგი სოსიაშვილის რედ. თბ., 2007.
18. მამაცაშვილი იოსებ, მოგონებები /1921 წლისთებერვალი-ივლისი/, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო დიმიტრი სილაქაძემ, თბ., 2014.
19. მამისთვალიშვილი ელდარ. გორის ისტორია, ტ. 2, (1801-1921) თბ., 2019.
20. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009.
21. მგელაძე ვლასა. საქართველო აჯანყებამდე (1921-1924). პარიზი.1936
22. ნათმელიძე ნ., დაუშვილი ა., ჯაფარიძე მ. ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი მე-20 ს. 20-იან წლებში, თბ., 2008.
23. პავლიაშვილი ქეთევან. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945 წწ.), თბ., 2008.
24. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანიწლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013.
25. სოსიაშვილი გიორგი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021
26. სოსიაშვილი გიორგი.კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით) აკად.. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისდამი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოხსენებათა თეზისები,თბ.2012.
27. უტიაშვილი ნათია. ,,რატომ იყვნენ ძმები კარბელაშვილები შავ სიაში შეყვანილები და როგორ დასაჯეს ისინი გარდაცვალების შემდეგ“, ჟურნ. ,,თბილისელები“, 12 თებერვალი 2012 წ. გვ.16.17
28. ჯანელიძე ოთარ, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
29. Генерал Г. Квинитадзе, Воспоминания (1917-1921 гг.)

გ) პრესა

1. გაზ. ,,კომუნისტი”, 10 მაისი, 1921 წ. # 55, გვ.10
2. გაზ. ,,კომუნისტი”, 10 სექტემბერი, 1921 წ. # 157, გვ. 4.
3. გაზ. ,,Правда Грузии”, 06.04.1921 წ.